# აჭარა

გამოცემის 101-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№18 (24.898) სამშაბათი, 1 - 2 მარტი, 2022 წ. 50 თეთრი


**გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით**



დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 10-15, შიდამთიან რაიონებში - 5-10, მაღალ მთაში - 1-6 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 11 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 764 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია წვიმა, მთაში - თოვა.

## კრიალოსანი უსი

არსებითი საუბარი მქონდა ნიდერლანდების პრემიერ-მინისტრ მარკ რუტესთან უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე, პრეზიდენტ ზელენსკის მხარდაჭერაზე და უკრაინისა და საქართველოს ევროპულ პერსპექტივებზე, - ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა სოციალურ ქსელში დაწერა. მანამდე სალომე ზურაბიშვილმა გერმანიის პრეზიდენტ ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერთან საუბრის შესახებ გაავრცელა ინფორმაცია და მას ძალიან მნიშვნელოვანი უწოდა. „ხაზი გავუსვი სრულიად ევროკავშირის ერთობის და გერმანიის მიერ რუსული აგრესიის წინაშე მყოფი უკრაინის მტკიცე მხარდაჭერის ისტორიულ მნიშვნელობას,“ - აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა.

* * *

საქართველო მუდმივად იყო უკრაინის სოლიდარული საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად, - განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა მთავრობის სხდომის შემდეგ. მისივე თქმით, ამაზე მეტყველებს უამრავი ნაბიჯი და ქმედება უკრაინის მხარდასაჭერად. „ეს იყო გამოხატული არა მხოლოდ ჩვენს განცხადებებში, იმ პოლიტიკურ ინიციატივებში, რომელიც მოდიოდა ამერიკელი, ევროპელი და სხვა საერთაშორისო პარტნიორის მხრიდან“, - დასძინა მან.

* * *

საქართველომ მკაფიოდ დააფიქსირა პოზიცია რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დარღვევის შესახებ. ვგულისხმობ, რომ ის მკაფიო პოზიციას იკავებს მრავალმხრივ ორგანიზაციებში, გაეროში, ევროპის საბჭოში და ეს ძალიან დასაფასებელია, - განაცხადა აშშ-ის ელჩმა საქართველოში კელი დეგნანმა. მისი თქმით, „ყველა ჩვენგანს მეტის გაკეთება მოგვიწევს მომდევნო დღეებში“.

* * *

დღეს 2022 წლის 28 თებერვალია, მსოფლიოში ახალი რეალობა და წესრიგი მყარდება, - ამის შესახებ პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერმა გიორგი გახარიამ გუშინ გავრცელებულ მიმართვაში განაცხადა. „მოვუწოდებ საქართველოს ხელისუფლებას, გამოიყენოს ეს ისტორიული შანსი და ოფიციალური თხოვნით მიმართოს ევროკავშირს, საქართველოს დაჩქარებული წესით მიღებასთან დაკავშირებით“, - აღნიშნა მან. ცნობისათვის, უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ევროკავშირს მიმართა თხოვნით, უკრაინა სპეციალური პროცედურით, დაჩქარებული წესით მიიღონ ევროკავშირში.


**მოამზადა ია შველიძემ**


# „ყველამ, პოზიციამაც და ოპოზიციამაც ხელი უნდა შევუწყოთ პოზიციების დაახლოებას“

## და მაინც, ერთმანეთს „გვერდზე“ გასასვლელად ეპატიჟებოდნენ


**ნანა აბულაძე 577 20 35 90**


*აჭარის საკანონმდებლო ორგანოს ბიუროს სხდომის გამართვამდე, გუშინ, ჟურნალისტებთან გაკეთებულ განცხადებებში, როგორც მმართველი გუნდის წარმომადგენლებმა, ასევე ოპოზიციის დეპუტატმა ელგუჯა ბაგრატიონმა აღნიშნეს, რომ როცა უკრაინაში საომარი მოქმედებები მიმდინარეობს, ყველა მხარე საქართველოში მოლაპარაკების მაგიდასთან უნდა დასხდეს და პოზიციები შეაჯეროს, რადგან „დღეს კინკლაობისა და შიდა დაპირისპირებების დრო ნამდვილად არ არის“*



აღნიშნული განცხადებებიდან ზუსტად ხუთ წუთში ვერც ერთმა მხარემ ვერ გაუძლო „ცდუნებას“ და ერთმანეთის მისამართით გასროლილმა რეპლიკებმა საქმე სიტყვიერ შეურაცხყოფამდე მიიყვანა. „არც აჭარის მთავრობის და არც უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ გვერდზე არ არის გამოხატული მკვეთრი პოზიცია, რომ გმობთ რუსეთის საქციელს უკრაინაში. დროა, ხმამაღლა თქვათ, მოღალატეები ხართ და პუტინს ემხრობით, თუ დგახართ ცივილიზებული სამყაროს გვერდით!?“ - ელგუჯა ბაგრატიონის ამ რეპლიკას მმართველი გუნდის დეპუტატის, ტიტე აროშიძის შეპასუხება მოჰყვა: „ახლა ხომ ხარ ღირსი მაგ სიტყვების გამო სახეში გტკიცო, შენ ვისზე რა გაქვს სათქმელი?“. შემდეგ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ერთმანეთს მმართველობაში ყოფნის 9 და 10 წელი შეახსენეს, ერთმანეთი უნიათობაში დაადანაშაულეს...

- ასლან აბაშიძის მონისგან ვერ მივიღებ იმას, რომ ვარ მოღალატე. რა თქმა უნდა, ეს ჩემთვის არის დედის გინების ტოლფასი შეურაცხყოფა და ამაზე ყოველთვის ყველას გავცემ საკადრის პასუხს. პოლიტიკის გარეშე, პირველ რიგში, მე ვარ კაცი, ამ ქვეყნის პატრიოტი და როცა ადამიანი, თან ისეთი ადამიანი, რომელიც ნეტკაჩოვის რაზმებში ირიცხებოდა, მეტყვის - ხარ მოღალატეო, ყოველთვის მიიღებს საკადრის პასუხს. არ მიღირს არც მანდატი, არც არაფერი, ჩემი თავმოყვარეობა, ჩემი ქვეყნის სიყვარული მიღირს, პირველ რიგში, და მსგავი ბრალდებების დროს, რა თქმა უნდა, მიიღებენ იმ პასუხს, რა პასუხიც უნდა გასცეს კაცმა. დიდება უკრაინას, დიდება გმირებს, მჯერა, უკრაინა გაიმარჯვებს ამ ომში, - განაცხადა მმართველი გუნდის დეპუტატმა დავით ბაციკაძემ.



აღნიშნული გაწევ-გამოწევის ფონზე, სხდომის ჩატარებას შეეშალა ხელი, დეპუტატები ერთმანეთს არა კამერების წინ კამათზე, არამედ „გვერდზე“ გასასვლელად ეპატიჟებოდნენ. „კამერების წინ კეკლუცს მორჩი და ცალკე დავილაპარაკოთ“, „თქვენ რა უნდა გელაპარაკოთ, თქვენ თქვენს ლიდერს, ღარიბაშვილს დაელაპარაკეთ, რომ ნამდვილად არ არის საღ გონებაზე“,- ერთმანეთის მისამართით ამ ტიპის შეურაცხმყოფელი რეპლიკების შედეგად საქმე იქამდე მივიდა, რომ საჭირო გახდა, სიტუაციის განეიტრალებაში საკანონმდებლო ორგანოს დაცვა ჩარეულიყო.

- დაპირისპირება გამოიწვია ჩემ მიერ ბიუროს დაწყებამდე გაკეთებულმა კომენტარმა, რომ დღეს საქართველოს ხელისუფლებაში ჰყავს მეხუთე კოლონა, რომელიც პუტინის მორჩილებით აბსოლუტურად ყველაფერზე მიდის და უპირისპირდება ცივილიზებულ სამყაროს. სწორედ იმან გამოიწვია მათი გულისწყრომა, რომ ვკითხე, უერთდებოდნენ ღარიბაშვილის განცხადებას, თუ აფიქსირებდნენ თავიანთ პოზიციას. მერე განვუმარტე, რომ თუ ისინი პრემიერის განცხადებას იზიარებდნენ და ხმამაღლა არ აღიარებდნენ ამას, რა თქმა უნდა, არიან მოღალატეები, მოღალატეობრივი ქმედებებით არიან დაკავებული. როცა პასუხი არ აქვთ, ამას ყოველთვის მოჰყვება მათი მხრიდან გინება, შეურაცხყოფა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, დღეს ნამდვილად არ არის ის დრო, როცა ჩვენ ერთმანეთს უნდა ვეკინკლაოთ. დღეს არის დრო, დავდგეთ ერთად, იმიტომ, რომ ეს ომი არ არის მხოლოდ უკრაინაში, ეს ომი გადის საქართველოზე, ეს ომი გადის ცივილიზებულ სამყაროზე. ამიტომ ყველა ერთად უნდა დავდგეთ. დღეს რაც მოხდა, არ არის სასიამოვნო, მაგრამ ადამიანები ვართ როგორც ისინი, ასევე, ჩვენ. როცა მეორე მხრიდან მოდის ზიზღი, გინება, რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს გაეცემა პასუხი, - განაცხადა დეპუტატმა ელგუჯა ბაგრატიონმა.

ოპოზიციონერი დეპუტატის ნათქვამს, რომ დაძაბულობა მმართველი გუნდის დეპუტატის ტიტე აროშიძის რეპლიკას მოჰყვა, ადრესატმა შემდეგნაირად უპასუხა:

- არათუ სახეში გარტყმა, „ნაციონალურ მოძრაობას“ აღარაფერი უშველის. ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ამ სამწუხარო რეალობას იყენებს თავისი პოლიტიკური ამბიციებისათვის, ნამდვილად შემოლაწუნების, სილის გაწნის ღირსია. შემიძლია ვთქვა, რომ დღეს დილით გავაკეთე კომენტარი და ის, აი, ახლაც დადასტურდა, რომ ისინი ნებისმიერ სიტუაციას იყენებენ თავიანთი ბინძური გეგმების შესასრულებლად, შესაბამისად, არა მხოლოდ ჩვენგან, არამედ ქართველი ხალხისგან მიიღებენ ღირსეულ და დამსახურებულ პასუხს, - აღნიშნა ტიტე აროშიძემ.

- უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რაც უფრო მეტად უჭირს პუტინს უკრაინაში, მით უფრო აგრესიული ხდებიან „ქართული ოცნების“ ლიდერები აქ, ჩვენთან. ალბათ, რამდენიმე დღეში, როცა პუტინი საბოლოოდ დამარცხდება უკრაინაში, შეიძლება ავტომატებით გამოგვეკიდონ მათ, ვინც თანავუგრძნობთ უკრაინას და ვგმობთ პუტინის აგრესიას, - აღნიშნული განცხადება ოპოზიციონერმა გიორგი კირთაძემ გააკეთა და დასძინა, რომ მაშინ, როცა უკრაინაში საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობს, ასეთი შიდა დაპირისპირებები მხოლოდ მტრის წისქვილზე ასხამს წყალს.

აჭარის საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარის დავით გაბაიძის განცხადებით, ოპოზიციის მხრიდან ბიუროს ჩაშლის მცდელობა იყო იმის მტკიცება, რომ თითქოს ვიღაცას მასზე მეტად უყვარს საკუთარი ქვეყანა, ან მეგობარი, რასაც არაფერი აქვს საერთო სიმართლესთან.

- ყველა ვხვდებით, რაც ხდება და ყველა სოლიდარულები ვართ. სიტყვით მხარდაჭერას ყველა უცხადებს უკრაინას, მაგრამ სამწუხაროდ, საქმით ამას ვერ ადასტურებს. ჩვენ ყველამ, პოზიციამაც და ოპოზიციამაც ხელი უნდა შევუწყოთ პოზიციების დაახლოებას. დამიჯერეთ, არ არის ახლა ამის დრო, ვიღაცამ ამტკიცოს, ვინ უფრო მაგარია, ვის უფრო მეტად უყვარს სამშობლო და ვინ ნაკლებად გამოხატავს სახელმწიფოს ინტერესებს. ყველა უნდა დავდგეთ ერთ მხარეს და ეს უნდა გავაკეთოთ საქმით და არა ლოზუნგებით და მყვირალა ფრაზებით, - განაცხადა დავით გაბაიძემ.

ბიუროს სხდომაზე დეპუტატებმა განიხილეს და განსაზღვრეს უმაღლესი საბჭოს 2022 წლის საზაფხულო სესიაზე მინისტრის საათის განრიგი, რომლის თანახმადაც 17 მარტს პირველს, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრს მოუსმენენ, ხოლო ბოლოს, 2 ივნისს - ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს, რის შემდეგაც, სავარაუდოდ, ერთ კვირაში, აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენა ჩაინიშნება.

**დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93**

# „ჩვენ ყველა დონეზე, ყველა საერთაშორისო ფორმატში, მტკიცე მხარდაჭერა და სოლიდარობა გამოვხატეთ უკრაინის მიმართ“

***მთავრობის გუშინდელი სხდომა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა უკრაინაში მიმდინარე მოვლენების შეფასებით დაიწყო. როგორც მან აღნიშნა, საქართველო ყველა დონეზე გამოხატავს მტკიცე მხარდაჭერას უკრაინის მიმართ და სოლიდარობას უცხადებს. ამის ფონზე პრემიერმა განმარტა, თუ რატომ არ უნდა შეუერთდეს რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს.***



„როცა საუბარია სანქციების დაწესებაზე, ამ ყველაფერში ჩართულია თითქმის მთელი მოსახლეობა, ათასობით მეღვინე, ექსპორტიორი, ფერმერი, ანუ მთხოვენ, რომ საკუთარ ხალხს დავუწესოთ სანქციები? ეს ვის მოაკლდება? დაიჩაგრება ჩვენი 1 მილიონი მოქალაქე, რომელიც რუსეთიდან ფულის გადმორიცხვას ვერ შეძლებს... მესმის, რომ ყველგან რთული სიტუაციაა, მაგრამ ჩვენ გვჭირდება სიმტკიცე, მოსახლეობაში ერთიანობა, სიმშვიდე და ემოციების გარეშე გონივრული და სახელმწიფოებრივად სწორი ეროვნული ინტერესებით მოქმედება, ეს უნდა იყოს ჩვენი მთავარი ამოცანა“, - განაცხადა ღარიბაშვილმა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, ხელისუფლებამ ჯერ საკუთარი ქვეყნის და ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა იხელმძღვანელოს, შემდეგ კი სხვა ხალხის ინტერესებზე იფიქროს.

„ბუნებრივია, დღეს ჩვენ ყველანი სოლიდარულნი ვართ, დიდი გულისტკივილით ვუყურებთ იმას, რაც უკრაინაში ხდება. ხალხი იღუპება, მთელი უკრაინა, კიევი იბომბება. სამწუხაროდ, სამარცხვინოდ, უნდა ითქვას, რომ მაშინ, როდესაც ხალხი იღუპება, აქ კონცერტებს მართავენ და ჟრიამული აქვთ ატეხილი. ეს მაგონებს 2008 წელს, აგვისტოს ომის დასრულებას, როდესაც რუსთაველზე გამოიყვანეს ხალხი და - „მიშა!“ „მიშა!“ აძახებინეს. წაგებული და განადგურებული ქვეყანა გამარჯვებულად გამოაცხადეს. ძალიან ბევრი გულანთებული ქართველის, პატრიოტის კეთილშობილურ გრძნობებზე თამაშობენ და მანიპულირებენ. ყველაფერში საკუთარ ანგარებას და ინტერესებს ეძებენ, ყველა უბედურებაში“, - განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა გაიხსენა 2008 წლის ომის პერიოდიც და აღნიშნა, რომ ომი საქართველოში მაშინდელი ხელისუფლების „უგუნურმა, გაუთვლელმა და ემოციურმა პოლიტიკამ“ გამოიწვია. მისივე თქმით, ე.წ. მარგინალურ-დესტრუქციული ოპოზიცია ცდილობს მოქალაქეების კეთილშობილურ გრძნობებზე თამაშს, მათ გამოყენებას, მანიპულირებას და მათ შეცდომაში შეყვანას. როგორც პრემიერმა აღნიშნა, მათი მიზანია, რომ საქართველოში განმეორდეს ის უბედურება, რომელიც 2008 წელს ჩვენს ხალხსა და ქვეყანას ვერ აარიდეს.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, მთელი მსოფლიო დიდი გამოწვევების წინაშეა და ამ სიტუაციაში ყოველგვარი ემოცია და გაუთვლელი ნაბიჯები დიდი რისკის შემცველია.

„მესმის, რომ ყველგან რთული სიტუაციაა, მაგრამ ჩვენ გვჭირდება სიმტკიცე, მოსახლეობაში ერთიანობა, სიმშვიდე და ემოციების გარეშე გონივრული და სახელმწიფოებრივად სწორი ეროვნული ინტერესებით მოქმედება, ეს უნდა იყოს ჩვენი მთავარი ამოცანა“, - განაცხადა ღარიბაშვილმა.

მთავრობის მეთაურმა უკრაინისთვის საერთაშორისო დონეზე გამოხატულ მხარდაჭერაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ საქართველო უკრაინას ყველა საერთაშორისო ფორმატში უჭერს მხარს. იქნება ეს ეუთოს მინისტერიალი თუ გაეროს ფორმატი, „ყველა დონეზე მტკიცე მხარდაჭერა და სოლიდარობა გამოვხატეთ უკრაინის მიმართ. ჩემი დავალებით, საგარეო საქმეთა მინისტრმა ეუთოს მინისტერიალში მიიღო მონაწილეობა, საქართველო მიუერთდა ევროკავშირის დოკუმენტს, ამით კიდევ ერთხელ, ხაზგასმით, მკაფიოდ გამოვხატეთ უკრაინის მიმართ მხარდაჭერა და ჩვენი სოლიდარობა ვაჩვენეთ ჩვენს უკრაინელ ძმებს და დებს. ჩვენ ასევე მხარი დავუჭირეთ ევროპის საბჭოს გადაწყვეტილებას რუსეთისთვის უფლების შეჩერების შესახებ და რა თქმა უნდა, ეუთოს მუდმივი საბჭოს გაძლიერებულ სხდომაზე მინისტრმა დავით ზალკალიანმა ძალიან მკაფიოდ ისაუბრა საქართველოს პოზიციის შესახებ. ასევე, გაეროს უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუციას საქართველომ 80 სხვა სახელმწიფოსთან ერთად თანასპონსორობა გაუწია", - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ხელისუფლება, შესაძლებლობების ფარგლებში აკეთებს მაქსიმუმს, იმისათვის, რომ გამოხატოს მაქსიმალური მხარდაჭერა, ეს იქნება პოლიტიკური, ჰუმანიტარული, ადამიანური თუ სხვა სახის.

მთავრობის მეთაურის გადაწყვეტილებით, საქართველოდან უკრაინაში 100 ტონა ჰუმანიტარული ტვირთი გაიგზავნა. იგი პირველადი სამედიცინო დახმარების საგნებს, 30-ზე მეტი დასახელების მედიკამენტს, ჟანგბადის კონცენტრატორებს და ჰუმანიტარული დახმარების სხვა საგნებს მოიცავს. გარდა ამისა, საქართველო უკრაინას სისხლის გარკვეული მარაგით ეხმარება - გაიგზავნა სისხლის კომპონენტები, ჰემოტრანსფუზიისთვის საჭირო მასალა და ტესტები.

ელენე საყვარელიძე

# ბათუმელები აქციაზე – რომსა და ამსტერდამში

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

***უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს მსოფლიო პროგრესული საზოგადოება ეხმაურება. იბომბება ქალაქები, იღუპებიან უდანაშაულო ადამიანები. ამ მძიმე ჟამს, ვის როგორც შეუძლია, ისე დაუდგა უკრაინას გვერდით.*** ასობით ადამიანი აპროტესტებს რუსეთის შეჭრას სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მართავენ მხარდამჭერ აქციებს და თითქმის ყველგან დაინახავთ ქართულ დროშას. ასე იყო მსოფლიოს ორ დიდ ქალაქში - რომსა და ამსტერდამში 27 თებერვალს გამართულ აქციაზე. საქართველოს მოქალაქეებს შორის არაერთი ბათუმელი იყო.

გვესაუბრება ბათუმელი ქალბატონი **რუსუდან ჯანელიძე**, რომელიც რომში, ერთ-ერთ ოჯახში, ხანდაზმულ ქალბატონს უვლის.

- ქართული ეკლესიაა რომში, კოლიზეუმთან ახლოს, სადაც 200-ზე მეტი ქართველი აქ მცხოვრებმა, 21 წლის გივი გელაშვილმა შეგვკრიბა. ეს საოცარი ახალგაზრდა 14 წლის იყო, როცა ოჯახი იტალიაში ჩამოვიდა. კარგად იცის იტალიური ენა და ახლა ონლაინ კურსებით იქ ჩასულ ყველა ქართველს უსასყიდლოდ ასწავლის. მან ინტერნეტით შეგვკრიბა. აქციაზე ბევრი სიტყვით გამოვიდა და თავისი გულისტკივილი გამოხატა. ერთად ვიმღერეთ საქართველოს ჰიმნი. მერე ყველა დავიძარით რესპუბლიკის მოედნისკენ, სადაც აქ მცხოვრები უკრაინელები ერთად აპროტესტებდნენ მათ მიწა-წყალზე რუსეთის შეჭრას.




მთელი გზა შეძახილებით - „ვივა უკრაინა!“, „ვივა ჯორჯია!“ გავიარეთ, მანქანები სიგნალებით გვეხმიანებოდნენ. კოლიზეუმთან ბევრი უცხოელიც მოვიდა უკრაინის მხარდასაჭერად, ზოგი სიტყვითაც გამოვიდა. ამაღელვებელი მომენტი იყო, როცა აქციაზე უკრაინელებმა ამდენი ქართველი ერთად დაგვინახეს... თვალცრემლიანები მოდიოდნენ და გვეხუტებოდნენ. არასოდეს დამავიწყდება ეს ემოციური წუთები, - გვითხრა რუსუდანმა.



რუსუდან ჯანელიძე მეოთხე წელია რომში მუშაობს. დაამთავრა იქ ჩასული უცხოელებისთვის განკუთვნილი იტალიური ენის შემსწავლელი „ა“ - 2 კლასი, ჩვენებურად რომ ვთქვათ, რვა კლასი. როგორც გვითხრა, ახლაც ქართველ მასწავლებელთან აგრძელებს სწავლას, რათა უფრო კარგად დაეუფლოს იტალიურ ენას. რუსუდანთან ერთად იდგნენ აქციაზე ბათუმელები - ნარგიზ ხაჯიშვილი და მაია ხელაძე.

27 თებერვალს ფართომასშტაბიანი აქცია მოეწყო ამსტერდამშიც. არაერთ ქართველთან ერთად ბათუმელი და-ძმა - თეკლა და გორდა სურგულაძეებიც იდგნენ. თეკლა იურისტია, იქ ცხოვრობს და მუშაობს, გორდა მაგისტრატურაში სწავლობს, ისიც იურისტია. როგორც გვითხრეს, ჰოლანდიელების მიერ ორგანიზებულ უკრაინის მხარდამჭერ აქციაზე ასობით ადამიანი მივიდა და უკრაინაში მიმდინარე ომი გააპროტესტა, რომელსაც რუსეთი მშვიდობისმოყვარე ხალხის წინააღმდეგ აწარმოებს.

... ბოროტება ვერ გაიმარჯვებს. პროგრესულ მსოფლიოს სჯერა, რომ ბოროტების იმპერია აუცილებლად დაემხობა!

## ამბები

### შაბათ-კვირის ქრონიკა

„თუ თქვენთან ომია, არც ჩვენთან არის მშვიდობა“ - ამ შინაარსის ტრანსფარანტებით გამართეს ბათუმში აქცია სტუდენტებმა. ბათუმის უნივერსიტეტის შენობასთან შეკრებილებმა მოუწოდეს ყველას, რომ გამოვიდნენ და ერთად გააპროტესტონ საომარი მდგომარეობა, რომელიც ახლა უკრაინაშია. ახალგაზრდები ამბობენ, რომ აქციებს ომის დასრულებამდე გააგრძელებენ.

* * *

ბათუმში ევროპის მოედანზე უკრაინის მხარდამჭერი აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეებმა რუსული აგრესია კიდევ ერთხელ გააპროტესტეს. მათი თქმით, მთავარია ცივილიზებული სამყაროს მხარდაჭერა. იხსენებენ, რომ უკრაინის პრეზიდენტამდე აღწევს ინფორმაცია ქართველი ხალხის მხარდაჭერის შესახებ და მნიშვ-



ნელოვანია, რომ საკუთარ ქვეყანაში ბრძოლის ველზე მყოფი ჯარისკაცები სწორედ სხვა ქვეყნების მხარდაჭერამ უნდა გააძლიეროს, რადგან ეს მხოლოდ უკრაინის ომი არ არის. მოქალაქეებთან ერთად, მხარდასაჭერ აქციას ბაიკერების ჯგუფი შეუერთდა, მათ უკრაინის დროშის ფერებში კვამლი გაუშვეს. ისმოდა მხარდასაჭერი შეძახილები. გაჟღერდა უკრაინისა და საქართველოს ჰიმნები.

* * *

ბათუმში უკრაინელების მხარდასაჭერად ჰუმანიტარული დახმარების შტაბი შეიქმნა. მასში ბელარუსისა და უკრაინის დიასპორებთან ერთად, ბათუმში მცხოვრები მოქალაქეები გაერთიანდნენ. დახმარების მსურველ მოქალაქეებს 24 საათის განმავლობაში შეუძლიათ ფარნავაზ მეფის ქუჩის № 46 ნომერში არამალფუჭებადი პროდუქტები, მედიკამენტები და ტანსაცმელი მიიტანონ. ასევე, მოქმედებს ცხელი ხაზი და დახმარების მსურველებს შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონის ნომერზე: 568 929 292.

* * *

აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ქობულეთის მუნიციპალიტეტში ქაქუთი-ნაცხავატევის საავტომობილო გზაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო. პროექტის მიხედვით, მოეწყობა საყრდენი კედელი. ამ ეტაპზე, საყრდენი კედლის საძირკვლის მომზადების სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს.

* * *

ბათუმში კობალაძისა და აბუსერისძის ქუჩების კვეთაში, წრიულთან, დაიხაზა ქვეითთა გადასასვლელი და საპარკინგე სივრცეები, აქვე დამონტაჟდა საგზაო ნიშნები: „ქვეითთა გადასასვლელი“ და „დაუთმე გზა“. ასევე, ლეონიძისა და ლორთქიფანიძის ქუჩების მიმდებარედ საგზაო ნიშნების სამონტაჟო სამუშაოები მიმდინარეობს.

მოამზადა
ნათია იმნაიშვილმა

# ცივილიზაციების ომი – საბოლოოდ პუტინი თავისივე ქვეყანას დააზიანებს

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

***მთელი მსოფლიოს ყურადღება დღეს უკრაინისკენაა მიმართული, იქ იტესტება დღევანდელი მსოფლიოს გეოპოლიტიკური სისტემის კონტურები. თუ რუსეთმა შეძლო უკრაინის დამორჩილება, გაუადვილდება საბჭოთა კავშირის მსგავსი გაერთიანების შექმნა, ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ ქართველი და უცხოელი ექსპერტები***





***უკრაინისადმი განხორციელებულმა აგრესიამ მსოფლიო თანამეგობრობა სულ სხვა რეალობის წინაშე დააყენა. კერძოდ, თუ რუსეთის მიმართ არ განხორციელდება ზეწოლა, თავსატეხი თავად ნატოს წევრ სახელმწიფოებსაც შეექმნებათ, ამიტომაც ამოქმედდა მძლავრი ეკონომიკური სანქციები, რასაც შედეგი აუცილებლად ექნება. რუსეთის ეკონომიკაში კრიზისი დაიწყო. დაანონსებულია კიდევ უფრო მძლავრი სანქციები***

ახლა ხშირად კითხულობენ, მოსკოვმა რატომ გადაწყვიტა უკრაინაზე გალაშქრება, რა იყო ამის მიზეზი? კრემლის პროპაგანდისტული მანქანა აპიარებს მოსაზრებას, რომ ნატო-უკრაინის ურთიერთობა გააქტიურდა და ალიანსს სურს რუსეთის რკალში მოქცევა, ამიტომ მოსკოვმა გაილაშქრა ამ გეგმის ჩასაშლელად. რეალურად, უკრაინას უახლოეს მომავალში ალიანსში არავინ მიიღებს - ჯერ ერთი, უკრაინა არ აკმაყოფილებს ნატოს სტანდარტებს სხვადასხვა საკითხთან მიმართებით, ამიტომ დიდად არც ნატო იკლავდა თავს უკრაინის ალიანსში გაწევრიანებისთვის. ეს მოსკოვშიც კარგად იციან. საქმე ისაა, რომ (ამ ომშიც თვალნათლივ გამოჩნდა) უკრაინელი ერი სახელმწიფოებრივად შეკრულია, მით უფრო, რუსეთის ამბიციების წინააღმდეგ, არადა, რუსეთის ლიდერს ეიმედებოდა რუსულენოვანი მოსახლეობის, შიდა განხეთქილების და ა. შ. აკი აგრესიამდე თქვა პუტინმა, რომ ვერ წარმოუდგენია უკრაინელების ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ, და რომ ყველაფერი კიევის პოლიტიკური ელიტის ბრალია. მერე მუქარაზე გადავიდა: თურმე უკრაინა რუსეთის ისტორიული მიწაა და უკრაინის ხელისუფლებას მინსკის შეთანხმების უპირობო შესრულება მოსთხოვა, რაზეც ოფიციალური კიევისგან უარი მიიღო.



ამჯერად დასავლეთი, გარკვეულწილად, მომზადებული დახვდა კრემლის გეგმებს. დროზე გააფრთხილა უკრაინა, შეაიარაღა, მძლავრი საინფორმაციო კამპანია წამოიწყო რუსეთის წინააღმდეგ, ეს მნიშვნელოვანი კომპონენტია დღევანდელ მსოფლიოში. თითქმის ყველა ამერიკელი სამხედრო ექსპერტი რუსეთის აგრესიას არ გამორიცხავდა, როგორც ჩანს, მათ ამერიკელი და ნატოელი მაღალჩინოსნებისგან სათანადო ინფორმაცია ჰქონდათ: „მოემზადეთ კიევის ყველა ქუჩაზე, ყველა ბლოკთან საბრძოლველად, მჯერა, რომ რუსები მიდიან კიევში. მათ სურთ რეჟიმის შეცვლა, მათ მიზანში ჰყავთ ამოღებული პრეზიდენტი ზელენსკი და მისი მაღალჩინოსნები“, - განაცხადა ევროპაში ნატოს ყოფილმა მეთაურმა ვერლ კლარკმა და ასეც მოხდა. რუსეთმა არა მხოლოდ აღიარა დონეცკისა და ლუგანსკის რეგიონების დამოუკიდებლობა, არამედ მთელი უკრაინის მიმართ აგრესია განახორციელა, მიზეზი - თურმე უკრაინელი ხალხის გათავისუფლება სურს ფაშისტური ხელისუფლებისგან. საერთოდ, რუსეთისგან ამგვარი განცხადებები გასაკვირი არ არის, იგი ხომ ერთი და იგივე ხაზს მიჰყვება. საქართველოში შემოჭრა ოსებისთვის „გენოციდის“ თავიდან აცილების საბაბით ახსნა, დნესტრისპირეთის ოკუპაცია - რუსულენოვანი მოსახლეობის დაცვით. რა თქმა უნდა, კრემლის ეს ნარატივი დასავლეთმა ამჯერად არ გაიზიარა, თუმცა ეს რუსეთს არ ადარდებს. უკვე მეექვსე დღეა, უკრაინა უმკლავდება რუსეთის ჯარს, უფრო სწორად, ურდოს, რადგან რუსეთის ჯარი არღვევს ყველა საერთაშორისო სამართლის ნორმას სამხედრო მოქმედებების თვალსაზრისით. ბომბავენ მშვიდობიან მოსახლეობას, იყენებენ ბალისტიკურ რაკეტებს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. ახლა დასავლეთი რეალურად შეშფოთდა - რუსეთს დაუწესდა მძლავრი ეკონომიკური სანქციები, შეიძლება ითქვას, რომ მთელი მსოფლიო გაერთიანდა რუსეთის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ეს სანქციები მოკლევადიან პერიოდში არ იმოქმედებს, თუმცა გრძელვადიან პერიოდში თავის შედეგს გამოიღებს. ბოლოს და ბოლოს, საბჭოთა კავშირმა ვერ გაუძლო დასავლეთთან კონკურენციას, მით უფრო ნაკლებად სავარაუდოა, რომ რუსეთმა შეძლოს ამ არნახულ სანქციებთან გამკლავება. ნებისმიერი განვითარებული ქვეყნისთვისაც კი საკმაოდ არასახარბიელოა დაწესებული სანქციები, ეს იქნება ეკონომიკური, პოლიტიკური, თუ სამხედრო, რადგან ისინი გავლენას ახდენს კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე. ბოლო სამი-ოთხი წელია, რუსეთთან მიმართ ინტენსიურად იღებენ გადაწყვეტილებებს - ეკონომიკურ სანქციებს უწესებენ, მაგრამ ახლა, როგორც ვთქვით, ამოქმედებული სანქციები შთამბეჭდავია.

დასავლეთის შემოტევის და, უფრო მეტად, უკრაინაში სამხედრო ძალის დანაკარგების გამო კრემლის ლიდერი ბირთვული იარაღის გამოყენებით იმუქრება. ალექსანდრე ტოლსტოი წერდა: „ვინ არიან გერმანელები, ლიახები და თათრები მასთან შედარებით? რა შიმშილი და შავი ჭირი, როცა თავად მეფეა მხეცმძვინვარე!“ - ეს ივანე მეოთხე მრისხანეზე ითქვა... არანაკლები ეპითეტები ესადაგება რუსეთის დღევანდელ ლიდერს. ყოველ შემთხვევაში, მისი ოცწლიანი მმართველობა ამის თქმის საფუძველს იძლევა. ექსპერტები აცხადებენ, რომ უკრაინასთან მიმართებით რუსებმა მთელი გეგმა ააწყვეს „ბლიცკრიგზე“ და მოულოდნელობის ეფექტზე. ამ ომმა ბევრი რამ გამოიწვია: პირველი - რუსეთის უძლეველობის მითი დაიმსხვრა, მთელი მსოფლიო ხედავს მის წარუმატებლობას სამხედრო თვალსაზრისით, მეორე - სამუდამოდ გადაიკიდა უკრაინელები, მესამე - წააგო საინფორმაციო ომი, მეოთხე - რუსეთს დაუწესდა ეკონომიკური სანქციები, რაც მთავარია, ნატოს შეფერხების ნაცვლად მის გაფართოებაზე უფრო ალაპარაკდნენ, კრემლს ლუკაშენკოს გარდა მოკავშირე აღარ დარჩა, თვით ყაზახეთის პრეზიდენტმა (მას ამას წინათ დაეხმარა ძალაუფლების განმტკიცებაში) უარი უთხრა უკრაინაში ჯარის გაგზავნაზე. ამას დაემატა ისიც, რომ მთელ მსოფლიოში იმართება ანტიპუტინური გრანდიოზული მიტინგები. ასეთი რამ მსოფლიოს არ ახსოვს რუსეთთან მიმართებაში, სასიხარულოა, რომ ამ მხრივ საქართველო გამორჩეულია, იმართება უკრაინის მხარდამჭერი დემონსტრაციები. რა თქმა უნდა, უკრაინელებისთვის ეს მხარდაჭერა მნიშვნელოვანია, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია დასავლეთის მკაფიო ზეწოლა რუსეთზე, რადგან რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება ეს ომი, უკრაინა მათ უფრო დაზარალდება, რომ არაფერი ვთქვათ ადამიანურ მსხვერპლზე. აგრესორისადმი წინააღმდეგობის თვალსაზრისით, უკრაინის ჯარი და მოსახლეობა სათანადო სიმაღლეზეა. ოფიციალური მონაცემებით, უკრაინულმა ჯარმა გაანადგურა 4500 აგრესორი, ორასი ტანკი, ხუთასი ჯავშანტრანსპორტიორი, 27 ავიაგამანადგურებელი, 26 ვერტფრენი, 16 ქვემეხი და ა. შ. დანაკარგია უკრაინის ჯარშიც. სამწუხაროდ, რუსეთის ჯარი მშვიდობიან მოსახლეობას ბომბავს.

როგორც ვთქვით, დასავლეთი უკვე გამოფხიზლდა. „მე ძალიან გაბრაზებული ვარ ჩვენზე ჩვენი ისტორიული ჩავარდნის გამო. საქართველოს, ყირიმის და დონბასის შემდეგ ჩვენ ისეთი არაფერი გაგვიკეთებია, რაც პუტინს შეაკავებდა“, - განაცხადა გერმანიის თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა, არადა, ევროპას იმედი ჰქონდა, რუსეთი მეტ-ნაკლებად დემოკრატიული იქნებოდა, მაგრამ საქართველოს ტერიტორიების, შემდეგ ყირიმის ოკუპაციამ და, მით უფრო, უკრაინისადმი განხორციელებულმა აგრესიამ მსოფლიო თანამეგობრობა სულ სხვა რეალობის წინაშე დააყენა. კერძოდ, თუ რუსეთის მიმართ არ განხორციელდება ზეწოლა, თავსატეხი თავად ნატოს წევრ სახელმწიფოებსაც შეექმნებათ, ამიტომაც ამოქმედდა მძლავრი ეკონომიკური სანქციები, რასაც შედეგი აუცილებლად ექნება. რუსეთის ეკონომიკაში კრიზისი დაიწყო. დაანონსებულია კიდევ უფრო მძლავრი სანქციები, ეს რუსეთს უფრო დააზარალებს, ვიდრე დასავლეთს, ყოველ შემთხვევაში, ასე აცხადებენ არა მარტო დასავლელი, არამედ ქართველი ექსპერტებიც: „დასავლეთის სახელმწიფოებთან ღია კონკურენციაში რუსეთი აშკარად მარცხდება, ეკონომიკური კრახის წინაშე მდგომ რუსეთს პოლიტიკური სტაბილურობისთვის, მოჩვენებითი დიდების შესანარჩუნებლად და ეკონომიკური სიდუხჭირის გასამართლებლად, საკუთარი ხალხის მოსატყუებლად მითი სჭირდება, ანუ მტრის ხატი - ყველა ჩვენ წინააღმდეგაა, მთელი მსოფლიო ჩვენ გვებრძვის, ამიტომ უნდა დავიცვათ თავი. მტერი, რა თქმა უნდა, დასავლეთი და მათი მარიონეტული რეჟიმებია, ანუ საქართველო, უკრაინა, მოლდოვა“.

წერილის დასაწყისში რუსეთის მიზნები ვახსენეთ უკრაინასთან მიმართებაში, როგორც რუსეთის ქმედებებიდან ჩანს, ესაა უკრაინის ფედერალიზაცია, უკრაინის ჯარის განადგურება და მოსახლეობის ურთიერთდაპირისპირება, რაც ჯერჯერობით არ გამოუვიდა და, იმედია, არც გამოუვა.

რა თქმა უნდა, ომი დროთა განმავლობაში დასრულდება, რა პოზიტივები ექნებათ მხარეებს, მეტწილად, უკრაინელთა თავდადებაზე და დასავლეთის რეალურ მხარდაჭერაზე იქნება დამოკიდებული.

ვინ იცის, როგორი იქნება რუსეთი ხუთი, ათი წლის შემდეგ, არც ის ვიცით, საერთოდ, ვინ გახდება მომავალში ამ ქვეყნის ლიდერი, თუმცა იმას კი აღვნიშნავ, რომ თუ რუსეთის მომავალი ლიდერი კვლავ წინამორბედების გზას გააგრძელებს, თავისივე ქვეყანას დააზარალებს უპირველესად, ანტიპუტინური კოალიცია სწორედ ამის თვალსაჩინო მაგალითია.

## უცხოეთი

ნატოს გენერალური მდივანი იოენს სტოლტენბერგი აცხადებს, რომ ალიანსი გააძლიერებს უკრაინის სამხედრო, ფინანსურ და ჰუმანიტარულ მხარდაჭერას. „ვესაუბრე პრეზიდენტ ზელენსკის და გამოვხატე ჩემი აღფრთოვანება უკრაინელი ხალხისა და შეიარაღებული ძალების სიმამაცის გამო. ნატოს მოკავშირეები აძლიერებენ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებებით, ტანკსაწინააღმდეგო იარაღით, ასევე ფინანსურად და ჰუმანიტარული საშუალებებით მხარდაჭერას“, - აღნიშნა ალიანსის თავკაცმა. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა 24 თებერვალს „სპეციალური სამხედრო ოპერაციის“ დაწყების შესახებ განაცხადა. მისი თქმით, აღნიშნულის მიზანია „უკრაინის დემილიტარიზაცია და დენაციფიკაცია“.

* * *

აშშ-ის თავდაცვის უწყება გამოეხმაურა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ახალ გადაწყვეტილებას, არმიის შემაკავებელი ძალები განსაკუთრებულ რეჟიმზე გადაიყვანოს. პენტაგონის განმარტებით, ეს არასაჭირო ნაბიჯია, რადგან ნატო და, მით უმეტეს, უკრაინა რუსეთის უსაფრთხოებას არასდროს დამუქრებია. თავდაცვის უწყებაში მიიჩნევენ, რომ პუტინის ეს ნაბიჯი ვითარებას გაამწვავებს, რადგან პროცესში ერთვებიან ძალები, რომლებსაც სიტუაციის არასწორად შეფასების შემთხვევაში ყველაფრის გართულება შეუძლიათ. „ჩვენ დარწმუნებულები ვართ ჩვენს თავდაცვით ძალებში და უნარში, დავიცვათ მოკავშირეები და პარტნიორები“, - აღნიშნულია განცხადებაში.

* * *

რეალური გარდატეხა მოხდა - ომი ევროპული გახდა. ის საბოლოოდ გააცნობიერეს, - ამის შესახებ „ფეისბუქის“ გვერდზე დაწერა უკრაინის თავდაცვის მინისტრმა ალექსეი რეზნიკოვმა. „გაიზარდა იმ სახელმწიფოების რაოდენობა, რომლებიც რეალურად გვეხმარებიან. ევროპამ, ყოველგვარი ფორმალობის გარეშე, დროებითი თავშესაფარი მისცა ათი ათასს, ვისი შენარჩუნებაც რეალურად გვინდა - ჩვენს პატარებს და მათ დედებს. ახლა დასავლეთთან ნამდვილად არ გვაქვს საზღვრები“, - აღნიშნავს იგი და დასძენს, რომ დამნაშავეები, რომლებიც უკრაინაში ქალებსა და ბავშვებს კლავენ, აუცილებლად დაისჯებიან.

* * *

გამოცემა „თაიმსის“ ინფორმაციით, კიევში იმყოფება 400-ზე მეტი დაქირავებული მებრძოლი, რომელსაც კრემლისგან უკრაინის პრეზიდენტის მკვლელობა აქვს დავალებული. „გასამხედროებულმა ფორმირება „ვაგნერის ჯგუფმა“, რომელსაც პრეზიდენტ პუტინის ერთ-ერთი უახლოესი მოკავშირე მართავს, ხუთი კვირის წინ აფრიკიდან დაქირავებული ჯარისკაცები ჩამოიყვანა და სოლიდური ფინანსური სარგებლის სანაცვლოდ პრეზიდენტ ზელენსკისა და მისი მთავრობის წევრების ლიკვიდაცია დაავალა“, - წერს გამოცემა. „თაიმსისვე“ ცნობით, აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით, უკრაინის ხელისუფლებამ კიევში 36-საათიანი კომენდანტის საათი გამოაცხადა.

მოამზადა
ია შველიძე

# „თუკი ბირთვული ომი დაიწყო, ეს ინტერვიუც ველარ მოხვდება გაზეთში და ველარც ჩვენი ოპტიმიზმი ნახავს დღის სინათლეს“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

*აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი, ისტორიის მეცნიერებათ დოქტორი* ***ირაკლი ჩავლეიშვილი*** *საუბრობს „აჭარასთან“ რუსეთ-უკრაინის ომზე, მის შედეგებზე როგორც ევროპისთვის, ისე საქართველოსთვის. როგორც მან აღნიშნა, თუკი ეს ინტერვიუ ნახავს დღის სინათლეს, გამოდის, რუსეთს ბირთვული ომი არ წამოუწყია და კაცობრიობა გადარჩა.*



> *„თუ უკრაინა გაიმარჯვებს, აფხაზეთიც, ოსეთიც დალაგდება მოლაპარაკებით და დიალოგით. აფხაზებმა ძალიან კარგად დაინახეს, რა ხდება დღეს სამყაროში და მათი ოცდაათწლიანი დამოუკიდებლობა რით დამთავრდა: გაჩანაგებით, სიღარიბით, იზოლაციით. მათი ადგილი ყოველთვის იყო და ახლაც არის საქართველოში, ხოლო საქართველოს ადგილი - ევროპაში*

**- კონფლიქტის სათავეებს რომ დავუბრუნდეთ, ვახსენოთ დონეცკის და ლუგანსკის ოლქები, რომელიც რუსეთმა სახალხო რესპუბლიკებად გამოაცხადა.**

- ეს არ იყო რუსეთისთვის უცხო, პირველი დარტყმა ჩვენ მივიღეთ. 2008 წელს ვიწვნიეთ ის უბედურება, რასაც რუსეთთან ომი ჰქვია. შემდეგ 2014-ში მოხდა ყირიმის ანექსია, წელს კი დონეცკის და ლუგანსკის რეგიონებიც წაიღო. მსოფლიოში არავინ ელოდა, მათ შორის არც მე, რომ რუსეთი წავიდოდა ასე შორს და გაშლიდა ფართომასშტაბიან ფრონტს უკრაინის წინააღმდეგ. იმის მიუხედავად, რომ თავად სახელწოდებას ალამაზებენ და სპეცოპერაციად ნათლავენ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის სერიოზული ომი ევროპის ცენტრში, რომლის ფრონტი 2500-3000 კმ-ზეა გაშლილი. თქვენ ამ დღეებში მთხოვეთ ინტერვიუ, რომლის გადადება გადავწყვიტეთ გაზეთის გამოშვების სპეციფიკიდან გამომდინარე, რადგან შესაძლებელი იყო, საერთაშორისო ვითარება შეცვლილიყო. ასეც მოხდა - შეიცვალა არა მხოლოდ ვითარება, არამედ მთელი მსოფლიო. სხვანაირები გახდნენ კოლექტიური დასავლეთის ლიდერებიც და რიგითი მოქალაქეებიც. უკრაინის შემართებამ, ვაჟკაცობამ და თავგანწირვამ ისეთი მაგალითი მისცა კაცობრიობას, რომ უკვე სულ სხვაგვარად შეტრიალდა მსოფლიოს მენტალიტეტი.

**- არც პუტინს ეგონა, მსგავს წინააღმდეგობას თუ წააწყდებოდა.**

- პუტინის თავში რა იხარშებოდა, მართალი გითხრათ, რთული გასარკვევია, მით უმეტეს, მთელი ამ ხნის განმავლობაში ევროპის ლიდერებს და მთელ სამყაროს აშანტაჟებს ომით და ბირთვული იარაღით. „გიჟი ვარ და რასაც მინდა იმას გავაკეთებ“, არ აცხადებდა, მაგრამ სულ მიგვანიშნებდა. სამწუხაროდ, პუტინს გასდიოდა კიდეც ეს პოზიცია, რადგან ბევრი ევროპის ქვეყნის ხელმძღვანელი, იგივე სარკოზი, მერკელი, 2008 წელს მტკიცედ რომ დამდგარიყვნენ და საქართველო და უკრაინა მიეღოთ ნატოში, დღეს ეს გლობალური კატასტროფა არ იქნებოდა. დასანანია, რომ ყველაზე კრიტიკულ დროსაც კი ისინი ლოიალობას იჩენდნენ მოსკოვის მიმართ საკუთარი კეთილდღეობის გამო. რაც მივიღეთ, განსაკუთრებით მკაფიოდ სწორედ ახლა გამოჩნდა. ყველა ვხედავთ, რად უჯდება პლანეტას თავაშვებული რუსეთის გამოხდომები.

**- პუტინმა საბოლოოდ გადაწყვიტა თავის მოგიჟიანება და ბირთვული ომით უკვე სერიოზულად დაიმუქრა...**

- დიახ, დღეს სწორედ ბირთვული კატასტროფის ზღვარზე დგას მსოფლიო, მაგრამ თუკი ამას გამოვრიცხავთ, ყველაფერი სასიკეთოდ დამთავრდება. მე ოპტიმისტურად ვუყურებ ამ ამბავს და, მინდა გითხრათ, ასე იმედიანად ცხოვრებაში არ ვყოფილვარ. ახლა ყველაზე ახლოს ვდგავართ ევროკავშირსა და ნატოსთან. ფაქტობრივად, შესაძლებელია, მოვლენები ისე განვითარდეს, რომ პუტინის რეჟიმი მცირე ხანში დასრულდეს და საქართველომ, როგორც დამოუკიდებელმა ქვეყანამ, საკუთარი ტერიტორიებით, ერთხელ და სამუდამოდ ჩაისუნთქოს ის თავისუფლების ჰაერი, რასაც საუკუნეების განმავლობაში ელოდნენ ჩვენი წინაპრები.

**- რა გაძლევთ ამ იმედის საფუძველს?**

- თუ ამ სიტუაციას განვიხილავთ ისტორიულ რაკურსში, რუსეთის იმპერატორები პავლე, ალექსანდრე, ნიკოლოზი ოჯახით, ლენინი, სტალინი, ანდროპოვი ბუნებრივი სიკვდილით არ მომკვდარან - თავისიანებმა მოუღეს ბოლო და თუ ევროსასამართლოს გადაურჩა პუტინი, ასევე დაამთავრებს, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული, ან მოხდება მისი ლიკვიდირება ან ჩამოაშორებენ ხელისუფლებას. კვირა დაიწყო და რუსეთი გაცილებით მძიმედ იგრძნობს იმ სანქციებს, რომლებიც მის წინააღმდეგ შემოიღო მთელმა სამყარომ. თქვენ წარმოიდგინეთ, ცივილიზებული კაცობრიობის მხარეს დადგა ავღანეთიც და ჩინეთიც, რომლის დიდი იმედი ჰქონდა პუტინს. ჩინელებმა გამოუცხადეს, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება და უარს ეუბნებიან ყოველგვარ ურთიერთობაზე ამ გიჟს. ქართული ანდაზა მახსენდება: გიჟი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასა. მთელი მსოფლიო ფეხზეა დამდგარი და დარწმუნებული ვარ, ის დასასრული, ზემოთ რომ ვახსენე, შორს აღარ არის.

**- ბატონო ირაკლი, ისევ და ისევ არსებობს ბირთვული ომის შიში...**

- უკვე გითხარით, გამოვრიცხოთ ეს მომენტი, არც ისე გიჟები არიან რუსები, მით უმეტეს, ჩვენს მსჯელობას აზრი არ აქვს. თუკი ბირთვული ომი დაიწყო, ეს ინტერვიუც ველარ მოხვდება გაზეთში და ველარც ჩვენი ოპტიმიზმი ნახავს დღის სინათლეს.

**- მაშინ ისევ იმედს დავუბრუნდეთ. რამდენ ხანს გაგრძელდება ომი?**

- რაც უნდა სისხლისმღვრელი და ხანგრძლივი იყოს ნებისმიერი ომი, ადრე თუ გვიან კაპიტულაციით, დაზავებით ან ხელშეკრულებების დადებით მთავრდება. დიდი იმედი მაქვს, რომ უკრაინელები კაპიტულაციას არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდებიან. მეორე მსოფლიო ომის დროს 9 მილიონი უკრაინელია დაღუპული, რადგან ძირითადი საომარი მოქმედებები სწორედ მათ ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. მაშინ ეს ხალხი არ შედრკა. გაიხსენეთ „ბენდეროვცი“, რომლებსაც კომუნისტები აუგად მოიხსენიებდნენ. ეს ხალხი ებრძოდა არა მხოლოდ ფაშისტურ გერმანიას, არამედ საბჭოთა რუსეთსაც. 1955 წლამდე ისინი ტყიდან არ გამოსულან და სტალინის სიკვდილამდე იარაღს არ ყრიდნენ. იცით, ბოლო პარტიზანი რომელ წელს გამოვიდა ტყიდან? 1991 წელს - მოხუცებულმა პარტიზანმა გაიგო, რომ უკრაინა გახდა თავსუფალი და მხოლოდ ამის შემდეგ შეწყვიტა ბრძოლა. ასეთ ხალხს ებრძვის დღეს რუსეთი და რამდენი ტანკიც უნდა შევიდეს ერთ ქალაქში, დარწმუნებული იყავით, რომ ვერავინ დაიპყრობს, იქ სხვა მენტალიტეტი და სხვა რეალიებია. უკრაინელები სხვა ხალხია, ისევე როგორც ჩვენ - ქართველები.

**- როგორი ვართ ჩვენ?**

- 2008 წელს ომი რომ დაიწყო, ჩემი 20 და 21 წლის შვილები საომრად წავიდნენ. არასდროს დამავიწყდება ის დღე - დედამისმა ზურგჩანთაში საგზალი ჩაუწყო და მე რადენიმე ჭიქით გზა დავულოცე. უბრალო პროცედურაა, მაგრამ სავალდებულო და აუცილებელი. ისინი ცოცხალი დაბრუნდნენ, ყველას შვილები - ვერა. თუ საჭირო დარჩა, იმათი ვალი გადასახდელია. ამასობაში მესამეც წამოიზარდა, რაც მახარებს. ასეთები ვართ... ვერასოდეს ვეგუებოდით ვერც ერთ დამპყრობელს და იმიტომ მოვედით დღემდე. შეგუება ნიშნავს განადგურებას. ამიტომ ვთვლი, რომ ჩვენი წვლილიც არის სამყაროს შეცვლაში. გახსოვთ, ერთხელ შევარდნაძეს უთხრეს ბერლინის კედელზე: ერთმა ქართველმა გერმანია ორად გაყო, მეორემ გააერთიანაო. შევარდნაძეც არ დაიბნა: ჰო, ქართველების გარეშე მსოფლიოში არაფერი ხდებაო. ახლაც იგივე ამბავია - უკრაინა და საქართველო, ეს ორი ქვეყანა არის მესამე მსოფლიო ომის ყოფნა-არყოფნის ზღვარზე. თუ კატალიზატორის ბედი გვარგუნა ღმერთმა, ღირსეულად ვზიდოთ ტვირთი. აქ მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობა კი არა, კაცობრიობის გადარჩენის საკითხი წყდება. თუკი ბირთვული ომი დაიწყება, წინაპრებივით ვაჟკაცურად შევეგებოთ სიკვდილს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, აქამდე არ მივა საქმე, პირიქით, ახლა ყველაზე ახლოს ვართ იმ ნანატრ დღესთან, როდესაც საქართველო გახდება ევროკავშირის და ნატოს წევრი. სულ ვოცნებობდი, ამ დღეს მოვსწრებოდი.

**- კიდევ რაზე ოცნებობდით, ბატონო ირაკლი, და რა აგიხდათ?**

- 1978 წელს, „რესპუბლიკური პარტია“ რომ შეიქმნა, ვოცნებობდი საბჭოთა კავშირის დანგრევაზე და... მოვესწარი. მსგავსი რამ თითებზე ჩამოსათვლელ კაცს თუ წარმოედგინა მაშინ. 9 აპრილმა შეუწყო ხელი ამ მახინჯი წყობის დაშლას, ჩვენ სისხლი დავღვარეთ ამისთვის. მთელი ჩვენი ისტორია პროგრესისკენ, ევროპისკენ სვლაა, რის გამოც სისხლის ღვრაც გვიწევდა და გვიწევს. ამას ვერავინ შეაჩერებს, სანამ კაცობრიობა იქნება დედამიწაზე. „პირველი ევროპელები“ შემოვიდნენ საქართველოში, აქ დასახლდნენ და მას შემდეგ დაიწყო ჩვენი სვლა პროგრესისკენ. სხვა არაფერი გვსურდა და გვსურს ახლაც - ვიყოთ ევროპული ოჯახის მშვიდობიანი, ერთგული წევრები. ამ ომმა საერთოდ შეცვალა სამყარო, მოხდა არა მხოლოდ ევროპის მსოფლიო ინტეგრაცია, კაცობრიობა დაირაზმა ერთი ურჩხულის წინააღმდეგ. ალბათ, უყურეთ, როგორ უანგაროდ ხვდებიან უკრაინელ ლტოლვილებს პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხეთის და სხვა საზღვრებზე. ყველა მზადაა, კერა და პური გაუყოს ამ მამაც ადამიანებს, რომლებსაც ოჯახები დაუნგრიეს, ახლობლები დაუხოცეს.

**- ზელენსკი ცდილობს საერთაშორისო ლეგიონის მობილიზებას...**

- დიახ, მოტივაცია იმდენად გაიზარდა, რომ ბევრი ჩაეწერება ამ ლეგიონში. ყველა ის ადამიანი აიღებს ხელში იარაღს, ვისაც სურს ნორმალური, ცივილიზებული ცხოვრება და დემოკრატია. 43 მილიონია უკრაინის მოსახლეობა, ასე რომ, ადამიანური რესურსებით ძალუძთ მოსკოვთან გამკლავება, მაგრამ აქ საუბარი იყო შეიარაღებაზე. ევროპის ქვეყნებიდან ნატო საკმარის იარაღს აწვდის უკრაინას, ხოლო ბრძოლის უნარი ამ ვაჟკაც ხალხს არასოდეს აკლდა. აქედან გამომდინარე, რაც უფრო გაიწელება დროში, უფრო მოახლოვდება პუტინის რეჟიმის კატასტროფა. ერთხელ და სამუდამოდ, ალბათ, რუსმა ხალხმაც უნდა იგრძნოს იმ თავისუფლების სურნელი, რითაც სუნთქავს დასავლეთის სამყარო. უზარმაზარი რესურსი და ტერიტორიები აქვს რუსეთს, მაგრამ ხალხი ამას ვერ იყენებს, რადგან საკუთარი მოქალაქეები ჰყავს პუტინს დამონებული. რუსეთს რუსი ჯარისკაცებიც არაფრად უღირს. ხომ ხედავთ, ჯარები კრემატორიუმებით გადაადგილდებიან. 21-საუკუნეში ეს არის წარმოუდგენელი ველურობა. ჯარისკაცს აქვს საკუთარი ღირსება, თუკი დაიღუპება, სამშობლოში დამარხვის უფლება ხომ არ უნდა დაუკარგო?! როდესაც ბორბლებზე შემდგარ კრემატორიუმს გაგაყოლებენ, გამოდის, საზარბაზნე ხორცი ხარ მხოლოდ... წარმოუდგენელი საზიზღობაა, ამაზრზენია. მხოლოდ ეს ფაქტი როგორ ახასიათებს კრემლს, თავადაც ხვდებით. დღევანდელი ციფრული ტექნოლოგიების დროს არაფერი იმალება, ამიტომ გამჟღავნდა პუტინის ეს გამოგონება, რომელიც დედას შვილის საფლავს ართმევს, შვილი ვერ დაიტირებს მამას. ახლა პირდაპირ ეთერში ვუყურებთ ბრძოლებს, ვხედავთ, როგორ კლავენ ბავშვებს, ქალებს, მოხუცებს, როგორ აფეთქებენ საბავშვო ბაღებს, სკოლებს, სახლებს... ვერაფერი დაიმალება!

**- პუტინის იმპიჩმენტზე რას იტყვით?**

- ზუსტად ამას ვამბობდი, ისტორია რომ მოვიყვანე მოწმედ, მისიანები მოკლავენ პუტინს, თუკი დარჩა იქ საღი აზრის ადამიანი, უზრუნველყოფს მის ლიკვიდაციას. თუმცა მე არ მინდა რომ ასე მოხდეს, მინდა წარსდგეს ჰააგის სასამართლოს წინაშე, პასუხი აგოს, რაც დაუშავა მსოფლიოს და საქართველოს, იმ ქართველ ბიჭებს, მშვიდობიან მოსახლეობას... მე ჩემი ანგარიში მაქვს პუტინთან. ევროპა და უკრაინა თავისას იტყვის და გაარკვევს, მაგრამ იქამდე ვერ მოვისვენებ, სანამ პუტინი არ დაჯდება საბრალდებო სკამზე და არ ამოყოფს თავს ევროპულ ციხეში. ესაა ჩემი მიზანი. არ მინდა ამ ქვეყნიდან ამ პროცესის ნახვის გარეშე წავიდე. მინდა ისევე დაისაჯოს, როგორც თავის დროზე მილოშევიჩი და მისი დამქაშები იმ გენოციდისთვის, რასაც მეზობელ ხალხს უწყობდნენ.

**- რადიკალური ოპოზიცია მოუწოდებს ხალხს აფხაზეთისკენ...**

- თუ უკრაინა გაიმარჯვებს, აფხაზეთიც, ოსეთიც დალაგდება მოლაპარაკებით და დიალოგით. აფხაზებმა ძალიან კარგად დაინახეს, რა ხდება დღეს სამყაროში და მათი ოცდაათწლიანი დამოუკიდებლობა რით დამთავრდა: გაჩანაგებით, სიღარიბით, იზოლაციით. მათი ადგილი ყოველთვის იყო და ახლაც არის საქართველოში, ხოლო საქართველოს ადგილი - ევროპაში.

**- იქნებ არ უნდათ ევროპა?**

- ევროპაში აღარ არის საზღვრები. არც საქართველოს ექნება საზღვრები ე.წ. აფხაზეთის და ოსეთის რესპუბლიკებთან, თანაც მათ ექნებათ ყველა ის უფლება, რითაც უკვე სარგებლობენ ქართველები. თუკი საუკუნეების განმავლობაში ვახერხებდით თანაცხოვრებას, ახლაც არ გაგვიჭირდება და მოვახერხებთ. ჩვენ კარგად ვიცით ერთმანეთის ფასი, მით უმეტეს, რომ ვიმყოფებით ნათესაურ კავშირში. ავირიეთ მაშინ, როდესაც რუსი გამოჩნდა კავკასიაში, მას შემდეგ დაიწყო შუღლი, ბოღმა და საზღვრების გავლება, თორემ ჩვენ შინაგანი საზღვარი არასოდეს გვქონია ჩვენს მოძმე ხალხთან.

**- როგორ შეაფასებთ მთავრობის პოზიციას რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით?**

- საქართველომ დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიო ცივილიზაციაში როგორც ისტორიულად, ისე დღევანდელი დღითაც. იგივე უკრაინასთან მიმართებაში - ჩვენი მეომრები დღესაც იბრძვიან იქ, დგანან მედგრად. 120 ათასი ქართველი მეომარია დაღუპული ყირიმში, უკრაინის მიწას არიან მიბარებული. რომ წახვიდეთ სევასტოპოლში, ყირიმში, სავსეა ქართველების საფლავებით. რაც შეეხება ამჟამინდელ მდგომარეობას, პასუხი კარგად მოგეხსენებათ - ღირსება სიფრთხილეში არ უნდა აგვერიოს. აქ არის ერთი მომენტი - მომავალი თაობები განსჯიან ყველაფერს და გამოჩნდება, ვინ იდგა ჭეშმარიტების მხარეს. ახლა კი უნდა გავარკვიოთ, რა გვინდა ჩვენ. ჩვენ დავიბადეთ კოლონიალურ ქვეყანაში და უკვე შემდეგ მოვიპოვეთ თავისუფლება, მაგრამ თავისუფლების ფასი უფრო კარგად იციან ჩვენმა შვილებმა. ახალგაზრდებმა ყოყმანის გარეშე, ინიციატივით და ნებით გამოხატეს საკუთარი პოზიცია, გვერდში დაუდგნენ უკრაინელებს, რითაც განაცხადეს: ჩვენ გვინდა ევროპული სახლი, გვინდა ნატო, უსაფრთხო ცხოვრება, სწავლა, დემოკრატია. ახალგაზრდებმა თავად გააკეთეს არჩევანი, არც ერთი პარტია არ ღებულობდა მათ მობილიზებაში მონაწილეობას, არავის უკარნახია, როგორ მოქცეულიყვნენ და არც პროპაგანდა-აგიტაცია დასჭირდათ. ეს ადამიანები არ ფიქსირდებოდნენ პოლიტიკურ მიტინგებზე, არც პარტიულ გაწევ-გამოწევაში მონაწილეობდნენ. გვეგონა, რომ საკუთარი სამყაროდან არც იხედებოდნენ, მაგრამ როგორც კი გაჩნდა თავისუფლების და ევროპის დაკარგვის საფრთხე, მაშინვე გარეთ გამოვიდნენ და დადგნენ იქ, სადაც კაცობრიობა, ცივილიზაცია დგას. აბა, გაბედოს დღეს ვინმემ და რუსეთისკენ მოუწოდოს ხალხს, დაუფიქრებლად გაუსწორდებიან, მსგავს თემაზე საუბარსაც კი ვერ ეღირსება ვერავინ. მაგრამ არც ის დაგავიწყდეთ: „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“. არ მინდა მტრები და მოღალატეები ვეძებო რომელიმე პარტიაში. თუკი მგავსი გვყავს, მაშინ რად მინდა პოლიტიკა, რა სახელმწიფოს ვაშენებთ? თითო-ოროლა გამოგვერევა, ვიცით ეს, მაგრამ მათ საკუთარი შვილები მოჭკითხავენ, საზოგადოება იზოლაციაში მოაქცევს, თემიდან მოიკვეთს. ამიტომ ვამბობ, ნუ ვეძებთ მტრებს ერთმანეთში, ანუ ოპოზიცია არ უნდა ხედავდეს მტერს ხელისუფლებაში და არც ხელისუფლება - ოპოზიციაში. მხოლოდ მას შემდეგ შევდგებით ერად, როდესაც ამ რუბიკონს გადავლახავთ. ეს დრო არც ისე შორსაა, აგერ, გადაღმა კვირაში....

**ჩაწერილია 27 თებერვალს**

# „მორალის საკითხია – პარლამენტში დააბრუნონ უსამართლოდ გამოშვებული ბადრი ჯაფარიძე“

ხატია იაშვილი 591 98 24 26

*პარლამენტარ ბადრი ჯაფარიძისთვის მანდატის შეწყვეტასა და მისი კანდიდატურის რუსთავის სამაჟორიტარო ოლქში წარდგენაზე, შუალედურ არჩევნებზე, ბათუმის საკრებულოზე, მმართველი გუნდის პოზიციასა და უკრაინა-რუსეთის ომზე საუბრობს „ლელო საქართველოსთვის“ პოლიტსაბჭოს და ბათუმის საკრებულოს წევრი* ***ირაკლი კუპრაძე.***

**- რა პრობლემები შეექმნა „ლელოს“ ბადრი ჯაფარიძის პარლამენტიდან გარიცხვით?**

- ბადრი ჯაფარიძის პარლამენტიდან წამოსვლა „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებით მოხდა, რაც პოლიტიკური დევნის რეალური გაგრძელებაა რამდენიმე მიზეზით. ერთ-ერთი ისაა, რომ თავად სასამართლომ ბრალი არასამართლებრივი ნორმებით წაუყენა. თავიდან საუბარი იყო ორ მიმართულებაზე, ერთი იყო ფულის გათეთრება, მეორე - თაღლითობა. ფულის გათეთრების ბრალდება, უბრალოდ, არ დადასტურდა, მოწმეებიც აცხადებდნენ, რომ მსგავსი არაფერი ყოფილა, ამ დანაშაულის მინიმალური ნიშნებიც კი. რაც შეეხება თაღლითობის მუხლს, თავად პროკურატურასაც არ ჰქონია სარჩელი, რადგან ეს საქმე ხანდაზმულია, არადა, სწორედ ამ ბრალდებით სცნო ბადრი დამნაშავედ პირველი ინსტანციის სასამართლომ.

**- ანუ თაღლითობის დანაშაული ხანდაზმულია?**

- დიახ, არცკი შეიძლებოდა ბრალის წაყენება, მაგრამ პირველი ინსტანციის სასამართლომ დამნაშავედ სცნო. აქედან გამომდინარე, ჯაფარიძეს ნასამართლეობაც არ უფიქსირდება. პოლიტიკური გადაწყვეტილების მიზანი მარტივი იყო - შეეწყვიტათ მისთვის პარლამენტარის უფლებამოსილება. რამდენიმე თვით ადრე, „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო ახალი კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც, პოლიტიკური პარტია, რომელსაც ჰყავს საქართველოს პარლამენტში წარმომადგენლობა, თუ მისი ნახევარი ან ნახევარზე მეტი, ნებსით თუ უნებლიეთ დატოვებს პარლამენტს, ეკარგება პარტიული დაფინანსება, უფასო სარეკლამო დრო და სახელმწიფოს მიერ მინიჭებული სხვადასხვა ბენეფიტი, რომელიც ყველა პარტიას აქვს თანაბრად და თანასწორად. სწორედ ეს იყო ჯაფარიძისთვის მანდატის ჩამორთმევის მთავარი მიზეზი - პარლამენტში ოთხი წევრით წარმოდგენილი პარტიისთვის ჯერ რეპუტაციული, შემდეგ ფინანსური ზიანის მიყენება და სხვა შეღავათების ჩამორთმევა. ახლა „ლელოს“ ორი წევრი დარჩა პარლამენტში, რასაც მოსდევს ფრაქციის დაშლის რისკიც. გარდა ამისა, „ქართული ოცნების“ ამ უჩვეულო თავდასხმის სხვა მიზანია ჩახსნილი საპარლამენტო სიები, რომლის აღდგენაზე, ჯერჯერობით, „ოცნება“ არ თანხმდება.

**- პრინციპში, ოპოზიციაც წუნია გოგოსავითაა, ხან უნდა პარლამენტში შესვლა და რაზმავს ხალხს, შემდეგ შევა და აღარ უნდა, იბრძვის გარეთ გამოსვლისთვის... შემდეგ ისევ უნდა...**

- დიახ, ოპოზიციის გადაწყვეტილებების თანმიმდევრობაზეც ჩნდება კრიტიკული კითხვები, თავად ისურვეს სიების ჩახსნა და ახლა აღდგენას ითხოვენ. ის არავის ახსოვს, რომ თავის დროზე ოპოზიციამ მოითხოვა რამდენიმე გადაწყვეტილების კომპლექტი, რაც სავალდებულო იყო პარლამენტს მიეღო. ერთი იყო სიების ჩახსნა და მეორე - მანდატების შეწყვეტა პარლამენტის ოპოზიციონერი დეპუტატებისთვის. აქვე აღვნიშნავ, რომ ეს განცხადება ყველამ დაწერა. რა გააკეთა ამ დროს „ქართულმა ოცნებამ“? მიიღო ასევე სუბიექტური შიდაპარტიული გადაწყვეტილება, რომ ჩაეხსნა სიები, მაგრამ არ შეწყვიტა მანდატების უფლებამოსილება. ამ ნაბიჯმა შეცვალა საკითხების თანმიმდევრობა, მათ შორის ოპოზიციისთვისაც. მსგავსმა გადაწყვეტილებამ დააზიანა ოპოზიცია, მაგრამ თავად მოგებული დარჩნენ, როდესაც მანდატები არ შეუწყვიტეს. აქედან გამომდინარე, სიების ჩახსნაზე საუბარი უსამართლოა, პირველ რიგში, „ოცნების“ მხრიდან, რომელიც ყოველთვის ჭრის და კერავს ისე, როგორც მათ პარტიულ დღის წესრიგს აძლევს ხელს.

**- იგივე ბადრი ჯაფარიძეს შეუწყვიტეს მანდატი, მაგრამ დაარეგისტრირეს როგორც დეპუტატობის კანდიდატი შუალედურ არჩევნებში, საიდანაც, გამარჯვების შემთხვევაში, ისევ პარლამენტს დაუბრუნდება.**

- იმის მიუხედავად, რომ მანდატი შეუწყვიტეს, სამართლებრივად ისევ აქვს უფლება დარეგისტრირდეს პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატად. ამ სახის რეგისტრაციისთვის არსებობს რამდენიმე შემაკავებელი გარემოება: საქართველოში ცხოვრების ცენზი, ნასამართლეობა ან პირობითი მსჯავრი. რა თქმა უნდა, ზემოთ ხსენებული „ბრალდების“ დადასტურების მიუხედავად, ბადრი ჯაფარიძეს, არანაირი მსჯავრი ან პირობითი ნასამართლეობა არ უჩანს. შესაბამისად, მას ჰქონდა და აქვს პარლამენტარობის უფლება, ისევე, როგორც კანდიდატად დარეგისტრირების.



**- „გირჩის“ ლიდერმა იაგო ხვიჩიამ გირჩიათ: „ჯაფარიძემ დრო არ უნდა დახარჯოს „მარშალის გეგმაზე“ და სხვა უცნაურ რალაცებზე, ან „ნაციონალური მოძრაობის“ აყოლაზე. ხალხის დაინტერესება რითაც შეიძლება, ეს არის უსამართლობის ჩვენება.**

*„რა თქმა უნდა, ქვეყნის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მეც ვეთანხმები სიფრთხილის გამოჩენის აუცილებლობას, მაგრამ განცხადებებზე უარის თქმა, პრეზიდენტის მიერ მოწვეული რიგგარეშე სხდომის ჩაშლა ჩემთვის სამარცხვინო გადაწყვეტილებაა*

- აქ შემიძლია ერთი რამ ვთქვა - „მარშალის გეგმა“ ის პროგრამაა, რომელიც არა მხოლოდ აჩვენებდა ხალხს სოციალურ-ეკონომიკურ უსამართლობას, არამედ სთავაზობდა მისი მოგვარების და აღმოფხვრის გზებს.

**- დააკონკრეტეთ, რაზეა საუბარი?**

- შემიძლია მარტივი მაგალითები მოგიყვანოთ, თუნდაც სოციალური შემწეობის მიღების, გარევაჭრობის შესახებ კანონპროექტები, რომელიც გვაქვს და დავარეგისტრირეთ კიდევაც. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვამახვილებთ ყურადღებას ყველაზე დაუცველი ღარიბი მოსახლეობის ინტერესებზე და მეორე - „მარშალის გეგმა“ თითქოს უცნაური სახელი და ფორმა დარჩა, მაგრამ რეალური პრობლემების გადაწყვეტის გზებზეა ორიენტირებული. იაგო ხვიაჩიას შეუძლია, მხოლოდ უსამართლობა აჩვენოს, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია მოსახლეობას მივუთითოთ ამაზე და მისი მოგვარების გზებიც შევთავაზოთ. დოკუმენტს, რაშიც ყველაფერი გაწერილი იქნება, „მარშალის გეგმა“ დაერქმევა თუ „ვაშინგტონის მანიფესტი“, უმნიშვნელოა. მთავარია, რომ იგი ხალხზე მორგებული, მართლაც ძალიან საინტერესო და კვალიფიციური ექსპერტების დიდხნიან შრომაზე დამყარებული დოკუმენტია, რომელსაც მომავალში აუცილებლად გამოვიყენებთ.

**- რუსთავის შუალედურ არჩევნებში „პატრიოტთა ალიანსი“ მონაწილეობას არ მიიღებს, ისევე როგორც „პატრიოტთა ერთიანი ფრონტი“. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაც“ თქვენ გვერდითაა. ამ უკანასკნელთან თანამშრომლობაში ზოგიერთი პოლიტიკოსი თქვენთვის საზიანოს ხედავს.**

- რუსთავის სამაჟორიტარო ოლქში კენჭისყრა ბადრი ჯაფარიძისთვის მიყენებული დიდი უსამართლო დარტყმისგან რეაბილიტაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზად იქცა. რატომ არ აყენებს ამ არჩევნებში დიდი თუ მცირე პარტიების უმეტესი ნაწილი საკუთარ კანდიდატებს? იმიტომ, რომ ეს მორალის საკითხია - პარლამენტში დააბრუნონ იქიდან უსამართლოდ გამოშვებული ბადრი ჯაფარიძე, ანუ სამართლიანობის აღსადგენად მოიძებნა ყველაზე კარგი გამოსავალი. ეს სტრატეგია აირჩია იგივე „გირჩმა“, „სტრატეგია აღმაშენებელმა“, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“, „ევროპულმა საქართველომ“, „პატრიოტთა ალიანსმა“, პარტიამ „საქართველოსთვის“ და სხვ. თუ რა მიზეზები და მოტივაცია აქვთ, ინდივიდუალურ პარტიულ რეჟიმში ცალკე განხილვის თემაა, რაშიც მე პრინციპულად არ შევალ. ანუ მორალის საკითხია და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არ იქნებოდა მართალი, თუ ამ ოლქს არ დათმობდა ბადრი ჯაფარიძის სასარგებლოდ.

**- იგივე მოცემულობა იკვეთება გონიოკვარიათის საარჩევნო ოლქშიც...**

- მათე ფუტკარაძის სასარგებლოდ კანდიდატზე უარის თქმა, აქაც მორალის და ღირსების საკითხია, რომელიც არ ეხება პარტიულ კონკურენციას, რაც უნდა „ატანა“ თუ აუტანლობა ჰქონდეს ერთმანეთში ოპოზიციურ თუ სახელისუფლებლო პარტიებს. შესაბამისად, როდესაც ღირსებაზე ვსაუბრობთ, ეს არ შეიძლება იყოს ჩვენთვის დამაზიანებელი, მით უმეტეს, როდესაც ზნეობის კატეგორიიდან ამოვდივართ.

**- ჯაფარიძის ოპონენტი უკვე ცნობილია?**

- ჯერ არ დაუსახელებიათ რუსთავის საარჩევნო ოლქში სხვა მაჟორიტარობის კანდიდატი, მაგრამ ვინც უნდა იყოს, მძიმე პასუხისმგებლობის აღება მოუწევს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ არასწორ ბრძოლაში შედის და მეორე - ეპაექრება ბადრი ჯაფარიძეს, ადამიანს, რომელმაც თავის დროზე ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციას, რომელიც უკვე იყო პარლამენტის წევრი. მას ორჯერ შეუწყდა მანდატი. პირველად, რუსეთის მეშვეობით, 1991 წელს სახელმწიფო გადატრიალების შედეგად და დღეს, შეიძლება ითქვას, ისევ რუსულმა ხელმა (ხელისუფლების სახით) შეუწყვიტა უფლებამოსილება, მაშინ იარაღით და ახლა - პულტებით. ეს ჩვენთვის ბევრის მთქმელია, ნებისმიერი, ვინც უნდა იყოს ბადრი ჯაფარიძის კონკურენტი, მორალურად, მხოლოდ ამიტომ უნდა იყოს განიარაღებული.

**- რუსეთის თემა მსოფლიოში ყველაზე აქტუალურია. სანამ მთავარ საკითხზე გადავიდოდეთ, იქნებ სააკაშვილის მიერ მოწმედ მოხმობილი ბაიდენის საკითხიც განვიხილოთ. როგორც მან აღნიშნა, ბაიდენს 7 ნოემბერი რუსეთის მიერ ჰიბრიდულ ომად მოუნათლავს.**

- მსგავსი არაფერი ყოფილა. 7 ნოემბრის დარბევაზე პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ყველა მაშინდელ თანამდებობის პირს, რომელსაც ჰქონდა დარბევის გადაწყვეტილება მიღებული. ეს უკვე შემდგარი ფაქტია. ბევრმა უკვე აგო პასუხი ამ დანაშაულებებისთვის. სამწუხარო რეალობაა, რომ სასამართლო სისტემა არ იმსახურებს ნდობას საზოგადოების მხრიდან, რაც იწვევს მსგავსი ვითარების წარმოქმნის შესაძლებლობებს.

**- რა სიტუაციაა დღეს ბათუმის საკრებულოში?**

- საკრებულო ისევ და ისევ, პარალიზებულია. წინა ინტერვიუში აღვნიშნე, რომ ეს გაგრძელდება გონიო-კვარიათის არჩევნებამდე და გამართლდა კიდეც. უკვე ნათელია, რომ მმართველმა გუნდმა აირჩია დაშინება-შანტაჟი-მუქარა-მოსყიდვის გზები და მანამდე არ აამუშავებს საკრებულოს, სანამ სისხლით გამოთავისუფლებული ოლქის მაჟორიტარად არ გაიყვანს საკუთარ კადრს. ფაქტია, რომ ისევ ეს სცენარი აქვთ მათ არჩეული. საკრებულოს ბედი კი დამოკიდებულია გონიოს, კვარიათის, ანგისის, ადლიის, აეროპორტის დასახლების და აღმაშენებლის ნაწილის ამომრჩევლებზე, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ღირსეული იქნება.

**- რას იტყვით რუსულ აგრესიაზე?**

- ეს ყველაფერი თავიდან ჰგავდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს, რომელიც გადაიზარდა უზარმაზარ საბრძოლო დაპირისპირებაში. განსხვავება ისაა, რომ უკრაინა არის ჩვენზე გაცილებით დიდი სახელმწიფო, მეტი რესურსებით და მოსახლეობით, რომელმაც შესძლო სწორი წინააღმდეგობის გაწევა რუსული აგრესიისთვის. ამჟამად ვხედავთ სრულმასშტაბიან ინტერვენციას უკრაინის ტერიტორიაზე, რის გამოც, რუსეთი გახდა სამხედრო დანაშაულებით სავსე, უმძიმესი ადგილი, რომელსაც საერთაშორისო საზოგადოებამ და მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ პასუხი გასცა შესაბამისი სანქციებით, მათ შორის, ქონების კონფისკაციაზე საუბრობს დიდი ბრიტანეთი, აპირებენ ფრენების აკრძალვას, „სვიფტის“ სისტემიდან გათიშვას და სხვა. ყველაფერი ერთად, საკმაოდ დიდ დარტყმას მიაყენებს რუსეთს და უკანდახევას აიძულებს. თავის მხრივ, უკრაინა ძალიან მტკიცედ დგას და ახერხებს მობილიზებას იმის მიუხედავად, რომ სამხედრო ატრიბუტიკის გარდა, მას ფიზიკურად არ ეხმარება არც ერთი ქვეყანა.

**- როგორ შეაფასებთ საქართველოს მთავრობის პოზიციას?**

- ამგვარ პოზიციას ვუწოდებ სიმხდალეს. რა თქმა უნდა, ქვეყნის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მეც ვეთანხმები სიფრთხილის გამოჩენის აუცილებლობას, მაგრამ განცხადებებზე უარის თქმა, პრეზიდენტის მიერ მოწვეული რიგგარეშე სხდომის ჩაშლა ჩემთვის სამარცხვინო გადაწყვეტილებაა. უკრაინაში მიმდინარე ომის შედეგი პირდაპირ გადაწყვეტს საქართველოს ბედს ხვალ და ზეგ, კერძოდ, თუ როგორ მოიქცევა რუსეთი ჩვენთან მიმართებაში. შესაბამისად, უკრაინის გამარჯვება გადამწყვეტია საქართველოს მომავლისთვის. ამ ეტაპზე დუმილი ნიშნავს, რომ ხვალ საქართველო აღმოჩნდება რუსეთის ჩექმის ქვეშ. მოსკოვის გაღიზიანების არ უნდა შეგვეშინდეს, რადგან ფაქტია - არ მუშაობს ეს პოზიცია. ვხედავთ, რომ წლების განმავლობაში ადამიანების გატაცება და მცოცავი ოკუპაცია გრძელდება. გატაცებული ადამიანები ცხინვალის ციხეში მოკლეს. აქედან გამომდინარე, ცხადია, როგორც კი დასჭირდება გეოპოლიტიკური მიზნებისთვის, რუსეთი მაშინვე შემოვა საქართველოში, თუკი გაკვეთილს არ მივცემთ, რომ ქვეყნების სუვერენიტეტის ხელყოფა უმძიმეს ფინანსურ და მორალურ ზიანს მიაყენებს საერთაშორისო ასპარეზზე.

**- 2008 წელს საქართველო მარტო აღმოჩნდა ოკუპანტების პირისპირ...**

- კიევისგან განსხვავებით, მაშინ, ომის მსვლელობისას, 10 ქვეყნის (აქედან 4 - ნატოს წევრი) პრეზიდენტები და პრემიერები იმყოფებოდნენ თბილისში საგარეო და თავდაცვის მინისტრებთან ერთად. უკრაინაში მსგავსი არაფერი ყოფილა, პირიქით, საელჩოები გადაიტანეს ჯერ ლვოვში და შემდეგ პოლონეთში. 2008 წლის ომში გვქონდა როგორც ფინანსური, ისე სამხედრო და ჰუმანიტარული მხარდაჭერა, აღარაფერს ვამბობ გრანტებსა და სხვა დამხმარე ღონისძიებებზე. ამიტომ ვაცხადებ, ვაღიზიანებთ კი არა, ვუწვებით კიდეც რუსეთს „ქართული ოცნების“ გამო, მაგრამ არავინ არის დარწმუნებული, რომ იგივე გეოპოლიტიკური მიზნების გამო, მეოთხე, მეხუთე ქვეყნის დასასჯელად, ინტერვენციაზე არ წამოვა საქართველოში. ამის პრევენციის ერთადერთი გზა არსებობს - რუსეთმა ცხვირი წაიტეხოს საკუთარ ქმედებებზე, რისი შანსიც დღეს რეალურად არსებობს უკრაინაში.

## აჭარის ჰუმანიტარული დახმარება – უკრაინის დამეგობრებულ რეგიონებსა და ქალაქებს

სამისოდ აჭარის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ფინანსური დახმარება გამოიყოფა, - ამის შესახებ ნათქვამია აჭარის მთავრობის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. აღნიშნული თანხით მოხდება სამედიცინო დახმარების საგნების, მედიკამენტების შესყიდვა და უკრაინული მხარისთვის გადაცემა. ამასთან, აჭარის მთავრობას აქვს აქტიური კომუნიკაცია დამეგობრებულ უკრაინულ რეგიონებთან და ჰუმანიტარული ტვირთის შეძენაც მათი საჭიროებების მიხედვით იგეგმება. ამავე ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ უკრაინული ქალაქებისთვის ჰუმანიტარული დახმარების პროცესში ჩაერთვება ბათუმი, ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი და ხულო. ამასთან, აჭარის მუნიციპალიტეტების მერიების მხრიდან გამოიყოფა ფინანსური რესურსები უკრაინელი ხალხისთვის პირველადი მოხმარების აუცილებელი ნივთების შესაძენად. აჭარის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და მუნიციპალიტეტებიდან 200 ათასი ლარის მობილიზება განხორციელდება. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტს დაევალა უკრაინელი ვიზიტიორების მასპინძლობისა და სხვადასხვა სერვისებით უზრუნველყოფა.

**ამირან გურიელიძე**

# საშური საქმე

ნებისმიერი ენის ლექსიკის შევსების ერთ-ერთი გზა არის სიტყვათა სესხება და მეზობელი ქვეყნების დამპყრობლური ზეგავლენა. პირველი მისაღებია, მეორე -დამაზიანებელი. ეს პროცესი შეეხო ქართულ ენასაც, რაზეც მრავალი მკვლევარი მიანიშნებს. პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე თავის წიგნში „დედაენა ქართული“ (გამომცემლობა „ნაკადული“, 1987 წელი) წერს, რომ სიტყვები: ოჯახი, დროშა, ჭეშმარიტება სომხურსა და ქართულში წარმოშობით ერთნაირი მნიშვნელობისაა, შესული თურქულ-სპარსულიდან. „ხალხი“ წარმოშობით არაბულია, ბანოვანი, ტანი, ზურგი - სპარსული, ნადირი, ნალი, ლაგამი, მათრახი - არაბული და ა. შ. ეს სიტყვები ქართულში ისეა დამკვიდრებული, რომ მათ წარმომავლობაზე მხოლოდ სპეციალისტები მიანიშნებენ.



სულ სხვაა სიტყვების შემოსვლა უცხო ქვეყნების ხანგრძლივი ბატონობის გამო. უამრავი სიტყვაა შემოსული დიალექტებში.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისთვის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი ლიტერატურული ენის დაცვაა დიალექტურისგან. კარგად ვიცი, რომ დიალექტი ენის ნაწილია, მაგრამ სალიტერატურო ენა სულ სხვაა. ამ მხრივ მუშაობას დიდ ყურადღებას ვუთმობ, გარკვეული გამოცდილებაც დამიგროვდა, რომელიც ავსახე კვლევაში. დიალექტი ასაზრდოებს ენას, ამდიდრებს მას, მაგრამ ამ მიზნით ყველა ლექსიკური ერთეული არ გამოდგება, მით უმეტეს, აფიქსები.

ჩემში სიამაყის განცდას აღძრავს ქართველი მოგზაურების ცნობები იმის შესახებ, რომ მიუხედავად ოსმალთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობისა, აჭარლებმა კარგად შეინახეს მშობლიური ქართული ენა და ამ მხრივ განსაკუთრებული როლი შეასრულეს ქალებმა, რომლებმაც საიდუმლო დამწერლობაც შემოიღეს, რომ ქართულად მიმოწერა შეენარჩუნებინათ.

აჭარულ დიალექტზე მომუშავე გვერდს ვერ აუვლის პროფესორ შოთა ნიჟარაძის წიგნს „ქართული ენის აჭარული დიალექტი. ლექსიკა“ (ბათუმი, 1971). ამ წიგნში 8000 სიტყვა-სტატიაა შეტანილი. მათი გაცნობის შემდეგ დავითვალე და აღმოჩნდა, რომ თურქულის გზით დიალექტში შემოსულია 1000-ზე მეტი თურქულ--სპარსულ-არაბული სიტყვა. მათ შორისაა წარმოქმნილი ერთეულებიც, მაგრამ ძირეული სიტყვები 850-ზე მეტია.

არსებობს კიდევ ერთი საინტერესო წიგნი, ნ. გურგენიძის „აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ელემენტები აჭარულსა და გურულში“ (გამომცემლობა „მეცნიერება“,1973 წელი), რომელშიც ათეულობით სხვა სიტყვაც აღმოვაჩინე; ასევე არაერთი სხვა სიტყვა შევაგროვე ჩემი რაიონის - ქედის სივრცეში, რითაც შემოტანილი სიტყვების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა. ეს არის მწარე რეალობა. თურმე რა მძიმე ზეგავლენა მოუხდენია ოსმალურს აჭარელთა მეტყველებაზე, მძიმე იმიტომ, რომ ამ ლექსიკური ერთეულების აბსოლუტური უმრავლესობის საჭიროება არ არსებობს.

პედაგოგების დახმარებაა ჩემი მიზანი. კარგი იქნება, თუ თვითონ დაადგენენ იმ ერთეულებს, რაშიც ზემოთ დასახელებული წიგნები დაეხმარებათ. ეს შრომატევადი სამუშაოა, ამიტომ გადავწყვიტე, მე მივაწოდო ცოდნა ჩემ მიერ შეკრებილი სიტყვების შესახებ. რა თქმა უნდა, სტატიაში ყველა სიტყვას ვერ დავასახელებ, - ვთქვი, ათასზე მეტია-მეთქი. მოვიტან ყველაზე გავრცელებულებს.

აღმოსავლური ლექსიკური ერთეულები მრავლადაა აჭარულ, გურულ და მესხურ დიალექტებში, ამიტომ ჩემი ნააზრევი უპირველესად შესაბამისი რეგიონების პედაგოგებს გაუწევს დახმარებას.

ბავშვობიდან მახსოვს სიტყვები: ანე - დედა, ბაბოი - მამა, აბლა - ბიცოლა, ბიბია - მამიდა, ხალა - დეიდა, ემია - ბიძა, ტაია - ბიძა (დედის ძმა) და ა. შ. პირველი სამი ქედაში დღეს აღარ გამოიყენება, დანარჩენები - იშვიათად. აქედან ერთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს: საგანმანათლებლო წინსვლა ენაზე დიდ და დადებით ზეგავლენას ახდენს, ამიტომაცაა საჭირო პედაგოგთა ზრუნვა მეტყველებაზე.

### ნათესაური მნიშვნელობის სიტყვები

ბალდიზი - ცოლისდა, ბაჯანაღი - ქვისლი, ბაჯია - და, გელინი - რძალი, დოსტი - მოყვარე, დედეი - ბაბუა, ემიაშვილი, ტაიაშვილი - ბიძაშვილი, ენიშტე - სიძე, მოსაფირი - სტუმარი, იეგანი - ძმისწული (დისწული), სუთანაი - ძიძა, ქირვა - ნათლია, ყაინი - ცოლისძმა, ხისიმი - ნათესავი, ყარდაში - ძმა, ჯინსი - ჯიში, ოღლუშაღი - წვრილშვილი, ქულფეთი - იგივე მნიშვნელობის (ოჯახის წევრებსაც ნიშნავს).

მიზნის იოლად მისაღწევად ლექსიკური ერთეულები დარგობრივად დავაჯგუფე და მათგან ყველაზე გავრცელებულზე შევჩერდები.

### სამზარეულოსთან დაკავშირებული ლექსიკა

ბორეგი, ბორანი, ბიში, ბეთმეზი, ბაქლავა, ერიშტა, სარმა, სინორი, ყაისაფა, კაიმაღი, აირანი, აჩმა, აჩმი შორვა, ლეჩერი, რახი, სუთლი, ფესტილი, ფლავი, ქუმა (ჩურჩხელა), ყათმირი, ყაფლამა, ყორაო, ყურუთი, ჩალხამა, ჩირბული.

ამ ლექსიკიდან ზოგი, ალბათ, ველარ მოიშორება, მაგრამ უმრავლესობის ქართულით ჩანაცვლება შესაძლებელია.

უფრო იოლად ჩასანაცვლებელია სხვა ლექსიკა: თაბლა - თეფში, თეფსი - თეფში, თეშტი - ტაშტი, მუთვალი - სამზარეულო, აზუღი - საგზალი, იაღი - კარაქი, საინი - თეფში, სუზგი - გასაწური ჭურჭელი, ფახრაჯა - ქვაბი, ქილარი - სამზარეულო, ყაბი - ჭურჭელი, ყაფაღლი - თუნგი, იოხი - ცომის გასაყვანი ჯოხი, არჩი - მზარეული, არჩიხანა - სამზარეულო, იუგურთი - მაწონი.

### მემცენარეობა

ბალყა ხაპი - გოგრის ჯიში, ბაღჩა - საცხოვრებელ სახლთან ახლოს არსებული ყანა, ბუჯაღი - ხის ნაწილი (საიდანაც იწყება განტოტება), დაბასხვა - დაწყობა, დაწნეხვა, დადემეთვა - თამბაქოს ფოთლების ლამაზად დაწყობა (ამ სიტყვის ძირი არის დემეთი), დიბაი - თამბაქოს ძირი ფოთლები, ულაფი - შვრია, ფათლიჯანი - ბადრიჯანი, ყარფუზი - საზამთრო, ხარდალი - ყურძნის დაუდუღარი წვენი, მეივა - ხილი.

### მეცხოველეობა

ახორი - ბოსელი, ბედლობა - მოდგამი, ილხი - ცხენთა სიმრავლე (რემა), მერეგი - პირუტყვის საკვების შესანახი სათავსო, იანიყარა - პირუტყვის დაავადება, იაილა - საზაფხულო საძოვარი (საცხოვრებელი შენობა საძოვარზე ), ყისირი-ბერწი, ჩაირი-საძოვარი, ჩობანი-მენახირე, ჯამუში-კამეჩი, ჰარღილი-პირუტყვის საზაფხულო სადგომი (ველზე შემოღობილი), ჰაივანი - პირუტყვი, იაბანი-გარეული ცხოველი, იათაღი - ხარებისათვის შემოღობილი ადგილი, აიღირი, ალათი, იაღიზი, ყაირათი, ყისრაღი - ცხენების თურქული სახელები (ფერის და სხვა ნიშნების მიხედვით), ჰავლი - ბოსლის შესასვლელი ადგილი (შენობაზე მიდგმული), ერინჯი - დეკეული.

### ტანსაცმელი

ამ მიმართულების სიტყვები მრეწველობის განვითარებით ჩანაცვლდება, მაგრამ ჯერ კიდევ მრავლადაა. ეს სიტყვებია: ზუბუნი - ჩოხის ქვეშ ჩასაცმელი, თორი - ბადურად ნაქსოვი სარტყელი, იშტონი - პერანგი, კოპჭი - ლითონის შესაკრავი, იაზმა - დაწინწკლული ლეჩაქი, იელეგი - მამაკაცის უსახელო ღილებიანი ჩასაცმელი, სარუღი - თავსაბურზე შემოხვეული თხელი ქსოვილი, სედეფი - ღილი, სოლაღი - წვივსაკრავი, ფეშტემალი - წინსაფარი, ქემერი - ქამარი, ყაიში - თასმა (ქამარსაც ეძახიან), ჩევრე - შემოქარგული ცხვირსახოცი, ჩერჩეფი - ქალის წამოსასხამი (ჩადრი), ხირხა - ახალუხის მსგავსი ჩასაცმელი, ბაშლუღი - ყაბალახი, ბილეზუგი - სამაჯური, მახასი - მაკრატელი, მინდარი - ლეიბი, იასტუღი - ბალიში, ურუბა - ტანსაცმელი (კაბა), თობდი - ქინძისთავი, ფერდე - ფარდა, იახა - საყელო, ფეშკირი - პირსახოცი, ყედიფე - ხავერდი, სემსიე - ქოლგა.

### საყოფაცხოვრებო ტერმინები

ალიშ-ვერიში - ყიდვა-გაყიდვა, ბეზი - ჩვარი, ბილევი - სალესი ქვა, ბორი - ღუმელის მილი, გოზლუღი - სათვალე, ტომრუღი - მორი, ხიზარი - ხერხი, ყოლხიზარი - სისოხერხი, დირსეგი - მუხლი ღუმელისთვის, ზენჯირი - ჯაჭვი, მასათი - ცელის სალესი, მენთეშა - ანჯამა, ქესარი - ეჩო, იეგა - ქლიბი, ორსი - გრდემლი, ოჯაღი - ბუხარი, რენდაი - რანდა, საჯიაღი - რკინის სამფეხა ცეცხლზე ასადუღებლად ჭურჭლის შესადგმელად, ტარაღი - წისქვილის მოსაკოდი ორპირი ჩაქუჩი, უსტა - ოსტატი, ქელფეთი - მარწუხი, ქესკი - სატეხი, ჩაქი დანა - პატარა დანა, ჯიმბიზი - სადგისი, ქირიში - ფუძე (საძირკველი), ყაზმა - თოხი, ჩივი - ხის კედლების ძელთა შემაერთებელი საგანი (ასევე: ნერგების ჩასარგავი მიწაში), დირეგი - ბოძი, თირფანი - ცელი, მუხი - ლურსმანი, ოდა - სახლი, ჰარღი - არხი, ჰავაზანი - აუზი, დოლაბი - კარადა (ბორბალსაც ეძახიან), მერდევანი - კიბე, ქესა - ქისა, ქილერი (ქილარი) - პროდუქტის შესანახი ადგილი, ქოშე - კუთხე, ქილიმი - ნოხი, უმუზი - სახურავის კოჭი, ქერემეთი - კრამიტი, თუღლა - აგური, ყანთარი - სასწორი, ყაშავი - რკინის ჯაგრისი, ხონი - ძაბრი, ჯვალდუზა - სატომრე ნემსი, ჰავანი - თამბაქოს საჭრელი, ჰალღა - რკინის რგოლი, ჰებგა - აბგა, მაშრაფა - წყლის დასალევი, ისკელე - სახერხი მოწყობილობა, ფურუნი - საცხობი (თონე), ქოშტერა - შალაშინი, ტავარჯული - ტყავის ჩანთა, ყაზიაღი - ნავთი.

### სხვა მიმართულებანი

არის აღმოსავლური სიტყვების სიმრავლე, რომელიც საკმაოდ აქტიურად გამოიყენება, მაგრამ დარგობრივად დაყოფა არაა საჭირო. ახლა მათზე ვისაუბრებ.

ადეთი - ადათი, ალავი - ალი, ანჯახ - ძლივს, აჯელი - ჯიბრი, ბედიავა - ტყუილუბრალოდ, ბედვა - წყევლა, ბეთი - უშნო (შეუხედავი), ბეთარი - უარესი, ბელქი - იქნებ, ბერექეთი - ბარაქა, ბეჩი - შტერი, ბითევი - მთლიანი, ბითუმ - მუდამ, ბოლაი - ბლომად, ბორჯი - ვალი, ბოშუნა - ტყუილად, გენჯი - ახალგაზრდა, გერჩექ - მართლა, გოზგორა - აშკარაა, გოია - ვითომ, დელიყანდი - ახალგაზრდა, დოვმუზი - ღორი, დუბარა - ეშმაკობა, დუგუნი - ქორწილი, ეზბერაი - ზეპირად, ეივახ - ვაგლახ, ეფეიჯა - ბლომად, ეში - ტოლი, ვახტი - დრო, ვესიეთი - ანდერძი, ზათი - ნამდვილად, ზევზექი - თავქარიანი, ზიბილი - ბინძური, ზორი - ჯაფა, ზოვლი - ყოჩაღი, თახათი - ძალა, (ღონე), თევბე - შეცდომის დაგმობა, თეთიკი - სასხლეტი, თემბელი - ზანტი, თენექა - თუნუქი, თექ - ოღონდ, თითიზი - მოზიზღარი, თულლითულლი - ნაირნაირი, იბრეთი - უჩვეულო, ინათი - სიჯიუტე, იშმარი - მინიშნება, იშტარი - მადა, კანუღი - სინჯი (ჭაშნიკი), კაჩა - კეფა, ლალი - მუნჯი, მალა - კალატოზის იარაღი, მაიხოში - სასიამოვნოდ მჟავე, მერაყი - დარდი, მეხსუს - განზრახ, მეჰელა - სოფლის კუთხე, მინნეთი - დამადლება, მუზევირი - დამსმენი, მუზირი - მავნე, მურადი - ბედი, დელი - გიჟი, ნაჩარი - ცუდი, ნუბეთი - რიგი, იასაღი - ნაკრძალი, იეთიმი - ობოლი, ოდლეგი - მშიშარა, ორთი - სახურავი, ოღრაში - ყალთაბანდი, რაჰათი - მოსვენება, რეზილი - სასირცხო, რემა - რეგვენი, რენგი - ფერი, რიზლი - წილი, საბრი - მოთმენა, სამა - ცეკვა, სანქი - თითქოს, სალლამი - ჯანსაღი, სებები - მიზეზი, ქიბარი - თავმომწონე, სურუნთი - მსუნაგი, ტამარი - ძარღვი, ტვარი - ქვის კედელი (ყორე), უმუდი - იმედი, უჩრუმი -ხრამი, ფიშმანი - ფიქრი, ფიჯი - მუსუსი, ფოშა - უზნეო, ქექეჯი - ენაბლუ, ღალფი - უილაჯო, ყარაყურა - მაჯლაჯუნა, ყაშმერი - ოხუნჯი, ყილიღი - შესახედაობა, ყისმეთი - ბედი, ყუი - ჭა, ყეზა - მარცხი, ყუსური - ნაკლი, შამარი - სილა, შერნაზი - შარისმოყვარული, ჩენგე - ყბა, ჩეჩმე - ფეხსალაგი, ჩიბანი - მუწუკი, ჩოლაღი - ინვალიდი, ხენდეკი - ორმო, ხიზირი - კეთილმოქმედი, ხინძირი - ვერაგი, ჯაზი - კუდიანი, ჯანიტარი - ფიცხი, ჰალი - ღონე, ჰელალი - ალალი, ჰელბეთ - ალბათ, ჰერამი - არამი.

სტატიაზე მუშაობის დროს ვეცნობოდი აჭარული დიალექტის დარგობრივ ლექსიკას, რომლის ამსახველი რამდენიმე წიგნია გამოცემული. მეორე წიგნში (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1979 წელი) შეტანილია მკვლევარ ნანული ნოღაიდელის „ქორწინების ლექსიკა“ , რომელმაც მიკარნახა ამ მიმართულების ცალკე გამოყოფა.

### ქორწინების ლექსიკა

ბაშდადე - მთავარი ხელისმომკიდე, დადე - ხელისმომკიდე, აღდის გაჭრა - საქორწინო ვალდებულების წერილობითი დოკუმენტის შედგენა, აღდლი - ხელშეკრულებიანი, ბორამლუღი - ნიშნობის ჩატარება, ბაშლუღი - საქმროს მიერ საცოლისთვის მიტანილი საჩუქარი, ბოშქალალდი - ქორწინების საბუთი, გევეზობა - მაყრის ყიჟინა (თოფის სროლა), დუაღი (ტუაღი) - დედოფლის თავსაბურავი, მიჰრი - ქორწინების საბუთში მითითებული თანხა (რომელიც უნდა გადაეხადათ დაქორწინებულებს გაყრის შემთხვევაში), მუჟდექი - მახარობელი, ნიქახი - ქორწინება, რუსუმი - ვალდებულებები, ელჩი - მაჭანკალი, რიშვეთი - გამოსასყიდი (რომელიც უნდა გადაეხადა ვაჟის მხარეს), ბოხჩა - პატარძლის საჩუქარი, ვექილი - პირი, რომელიც აღდის გაჭრას ესწრება, მახრამი - ცხვირსახოცი, კაფი ხარჯი - კარიდასამყრელო (იხდიდა ვაჟის მხარე), დუგუნი - ქორწილი.

სიხარულით შემიძლია აღვნიშნო, რომ ქორწინების გათანამედროვებამ დასახელებულ ლექსიკასაც გამოაცალა არსებობის საფუძველი. ესეც მაფიქრებინებს, რომ დრო და გამიზნული შრომა წარმატებას მიგვაღწევინებს, მაგრამ მარტო დროს ნუ დაველოდებით - ამ გზით საუკუნეები არ იქნება საკმარისი.

უპირველესად, მოსწავლეებს ვამუშავებ დიალექტურ მეტყველებაზე: ისინი აკონტროლებენ საკუთარ და ოჯახის წევრთა მეტყველებას, იწერენ გამოთქმებს და ასწორებენ. ნამუშევრებს ვამოწმებ ყოველ გაკვეთილზე (ამას 10 წუთამდე დროს ვუთმობ) და ერთად ვასწორებთ ნაუბარს.

მისასალმებელი იქნება, თუ ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებლები გამოიყენებენ საწრეო მუშაობას, პერიოდულად განიხილავენ მოსწავლეთა ნამუშევრებს. კარგია სასკოლო გაზეთის და რადიოს გამოყენებაც.

დარწმუნებული ვარ, თუ პედაგოგები მოინდომებენ, უკეთეს ფორმებსაც მოძებნიან. უმთავრესი ერთია: ქართულისთვის არასაჭირო აღმოსავლური ლექსიკა მეტყველებიდან უნდა გავიყვანოთ, ამ მხრივ მუშაობა ტკივილიანიც იქნება, მაგრამ აუცილებლად პატრიოტულია, რომ შედეგი სიამოვნებას მოგვანიჭებს. ეს საშური საქმეა!

**თამაზ აბულაძე,**
**ოთარ ცინარიძე**

## უკრაინასა და რუსეთს შორის მოლაპარაკების პირველი რაუნდი დასრულდა



უკრაინასა და რუსეთს შორის მოლაპარაკების პირველი რაუნდი დასრულდა - ამ ინფორმაციას უკრაინული მედია „უნიანი“ ავრცელებს. გამოცემის ცნობით, მოლაპარაკების პირველი რაუნდი 6 საათს გაგრძელდა.

„მხარეები შეთანხმდნენ მოლაპარაკებების მომდევნო რაუნდზე“, - განაცხადა პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მრჩეველმა მიხაილო პოდოლიაკმა.

მისი თქმით, მხარეებმა გამოავლინეს არაერთი პრიორიტეტული თემა, რომლებზეც გარკვეული გადაწყვეტილებები გამოიკვეთა.

„მომლაპარაკებლები ბრუნდებიან თავიანთ დედაქალაქებში, რათა განიხილონ მოლაპარაკებების შედეგი“, - წერია განცხადებაში.

**ამირან გურიელიძე**

# „ქალთა ოთახი" – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

*გენდერული თანასწორობა უმნიშვნელოვანესი საკითხია, რომელიც დღეს მსოფლიო მასშტაბითაა აქტუალური. ქალთა გაძლიერება პირდაპირ კავშირშია ქვეყნის უკეთეს მომავალთან, ეკონომიკურ წინსვლასთან და სიღარიბის აღმოფხვრასთანაც კი. ძლიერი ქალი ნიშნავს ძლიერ სახელმწიფოს.*

*„ქალთა ოთახი" - ეს არის საინფორმაციო-საკონსულტაციო სერვისი, ღია სივრცე შეხვედრებისა და ტრენინგების ჩასატარებლად. მისი მიზანია საზოგადოების ინფორმირება და მათი ჩართულობის გაზრდა სხვადასხვა სოციალურ პროგრამაში.*



*რა პროგრამებსა და ღონისძიებებს ახორციელებენ, რა გეგმები აქვთ - ამ და სხვა საკითხებზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი* ***მაგდა მალაყმაძე*** *გვესაუბრება.*

**- „ქალთა ოთახი" და მისი მიზანი?**

- „ქალთა ოთახი" - ეს არის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შექმნილი საინფორმაციო-საკონსულტაციო ღია სივრცე, რომლის მიზანია დაეხმაროს ადგილობრივ მოსახლეობას, განსაკუთრებით კი ქალებს, მუნიციპალიტეტთან ურთიერთობაში და გაზარდოს ქალების და მამაკაცების თანაბარი მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს არის სივრცე, რომელიც ცდილობს ქალთა გაძლიერებას როგორც ეკონომიკური, ასევე, იმ მიმართულებებით, რომელიც მნიშვნელოვანია მათი უკეთესი ცხოვრებისთვის.

**- რას სთავაზობთ მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებს „ქალთა ოთახის" ფარგლებში?**

იხ. მე-8 გვ.

# „ბსუ – უკრაინისთვის"

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში უკრაინის მხარდამჭერი აქცია გაიმართა სლოგანით „ბსუ - უკრაინისთვის". სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა სოლიდარობა გამოუცხადეს უკრაინელ ხალხს და დაგმეს რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად უკრაინაში მიმდინარე ტრაგიკული მოვლენები. უკრაინის მხარდამჭერ აქციას უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მერაბ ხალვაში აკადემიური საბჭოს წევრებთან ერთად შეუერთდა და საბჭოს მიმართვა გააცნო.

„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების სახელით, მკაცრად გმობს რუსეთის სამხედრო აგრესიას უკრაინაში, რომელიც საფრთხეს უქმნის ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს, მის დემოკრატიულ განვითარებასა და ცივილიზებულ სამყაროში ინტეგრირების პროცესს.




გვჯერა, საერთაშორისო თანამეგობრობა კონსოლიდირებული ნაბიჯებით შეძლებს აგრესორი სახელმწიფოს შეკავებას და მშვიდობის უზრუნველყოფას ქვეყანაში, რეგიონსა და მთელს მსოფლიოში. დიდება უკრაინას! დიდება უკრაინელ ხალხს!" - ნათქვამია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიმართვაში.

უნივერსიტეტი ასევე იწყებს ჰუმანიტარულ კამპანიას უკრაინის დასახმარებლად, რომელშიც მონაწილეობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

**მარი მიდასელი**

# ნატო უკრაინისთვის საზენიტო და ტანკსაწინააღმდეგო იარაღის მიწოდებას ზრდის

„ახლახან ველაპარაკე უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის და შევაქე ის უკრაინის ხალხისა და შეიარაღებული ძალების სიმამაცისთვის. ნატო-ს მოკავშირეები აძლიერებენ მხარდაჭერას საჰაერო თავდაცვის რაკეტების, ტანკსაწინააღმდეგო იარაღის, ასევე ჰუმანიტარული და ფინანსური დახმარების მიწოდებით", - - ამის შესახებ ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი „ტვიტერში" წერს.

**ამირან გურიელიძე**

# „საქართველო მკაფიო პოზიციას იკავებს..."

კელი დეგნანის შეფასებით, საქართველომ მკაფიო პოზიცია გამოხატა რუსეთის მიერ უკრაინის მიმართ აგრესიის თაობაზე. აშშ-ის ელჩმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილთან შეხვედრის შემდეგ ხაზი გაუსვა, რომ ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი ერთიანობაა. ამის თქმის საჭიროება ქვეყანაში დღეს არსებულმა ვითარებამ უკარნახა - საქართველოს ხელისუფლება, როგორც პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი ამბობს, ცდილობს, არ მიიღოს საქართველოსთვის ზიანის მომტანი გადაწყვეტილებები, ოპოზიცია კი მოსახლეობის პატრიოტულ ემოციებს მთავრობის დისკრედიტაციისთვის იყენებს. ეს გარემოება იმდენად თვალსაჩინო წინააღმდეგობებს ქმნის, უპირველესად, სოცქსელებში, რომ კელი დეგნანმა საჭიროდ ჩათვალა ეთქვა:

„ცხადია, ჩვენ ძალიან შეშფოთებული ვართ კრიზისით, რომელიც რუსეთმა შექმნა. ათასობით ადამიანი იძულებული გახდა, საცხოვრებელი სახლი დაეტოვებინა. ასობით დაჭრილია. ეს არის ომი, რომელიც შექმნა და დაიწყო რუსეთმა. უკრაინელების გმირული პასუხი ყველა ჩვენგანს აღგვაფრთოვანებს. ვხედავთ, რომ საერთაშორისო საზოგადოება გააქტიურდა. საქართველომ მკაფიოდ დააფიქსირა პოზიცია რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დარღვევის შესახებ. ვგულისხმობ, რომ ის მკაფიო პოზიციას იკავებს მრავალმხრივ ორგანიზაციებში, გაეროში, ევროპის საბჭოში და ეს ძალიან დასაფასებელია. ასევე ქართველი ხალხის, ბიზნესისა და მთავრობის გულმხურვალე პასუხი ჰუმანიტარული დახმარებისა და მხარდაჭერის გაწევისთვის უკრაინელი ხალხისთვის. ყველა ჩვენგანს მეტის გაკეთება მოგვიწევს მომდევნო დღეებში. ვხედავთ, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ სანქციები დააწესა. აშშ-მა მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების სამხედრო დახმარება გაუწია უკრაინას გასული წლის განმავლობაში, მათ შორის 350 მილიონი, რომელიც ახლახან გაიცა სახელმწიფო მდივან ბლინკენის მიერ რამდენიმე დღის წინ. ჩვენი მხარდაჭერა უკრაინის მიმართ ურყევია და ასეც დარჩება. ვიცი, რომ ჩვენ ერთიანი ვრჩებით. ამ დროს ერთიანობა, ყველაზე მნიშვნელოვანი გზავნილია, რომლის გაგზავნაც რუსეთისთვის შეგვიძლია, რომ საერთაშორისო საზოგადოება რჩება ერთიანი ამ თავდასხმის წინაშე, ევროპული უსაფრთხოებისა და იმ პრინციპების წინააღმდეგ, რომელიც ჩვენ უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას გვინარჩუნებდა გასული 30 წლის განმავლობაში".

**მარი მიდასელი**

# წესრიგში გვაქვს თუ არა ფარისებრი ჯირკვალი?

ქეთევან კილაძე 593 73 45 74

ფარისებრი ჯირკვლის მთავარი ფუნქციაა მეტაბოლიზმის რეგულირება (მეტაბოლიზმი - საკვების დაშლა ცალკეულ ნივთიერებებად, რომელსაც ორგანიზმი სასიცოცხლო პროცესებისთვის იყენებს). ამისთვის ფარისებრი ჯირკვალი სპეციფიკურ ჰორმონებს გამოიმუშავებს - T4 თიროქსინი, რომელიც იოდის 4 ატომს შეიცავს და T3 ტრიიოდთირონინი იოდის 3 ატომით. სისხლში ამ ჰორმონების დონე ჰიპოფიზიდან (თავის ტვინში განთავსებული ჯირკვალი) კონტროლდება. თუ დაიკლო, ჰიპოფიზი გამოყოფს უფრო მეტ TSH-ს - ფარისებრი ჯირკვლის მასტიმულირებელ ჰორმონს და თუ სისხლში ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონებმა მოიმატა, TSH-ის რაოდენობა მცირდება.

ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიებმა შეიძლება გამოიწვიოს როგორც გამოყოფილი ჰორმონების მომატება, ასევე - შემცირება.

**ჰიპერთირეოზის** დროს ფარისებრი ჯირკვალი საჭიროზე მეტ ჰორმონს წარმოქმნის და სხეული ძალიან სწრაფად ხარჯავს ენერგიას, რაც ვლინდება შფოთვით, გაღიზიანებით, ძილის დარღვევით, წონის კლებით, ჯირკვლის გადიდებით, კუნთების სისუსტით და კანკალით, მენსტრუალური ციკლის დარღვევით ან შეწყვეტით, სითბოს აუტანლობით, თვალის გაღიზიანებით, მხედველობის პრობლემებით;

**ჰიპოთირეოზის** დროს ჯირკვალი ვერ წარმოქმნის საკმარისი რაოდენობის ჰორმონს. ეს იწვევს მუდმივ დაღლილობას, გამოფიტვას, წონის მომატებას, მეხსიერების დაქვეითებას, ხშირ და უხვ მენსტრუაციას, თმის გამოშრობას და გაუხეშებას, თმის ცვენას, ხმის ჩახლეჩას, სიცივის აუტანლობას.

არსებობს ფარისებრი ჯირკვლის არაჰორმონალური მიზეზით გამოწვეული დარღვევებიც:

**ჩიყვი** - ფარისებრი ჯირკვლის გადიდება, რომლის ძირითად მიზეზად ორგანიზმში იოდის დეფიციტი ვლინდება. იოდდეფიციტით გამოწვეულ ჩიყვს ენდემურ ჩიყვსაც უწოდებენ;

**ფარისებრი ჯირკვლის კვანძი;**

**ფარისებრი ჯირკვლის კიბო;**

**თირეოიდიტი** - ფარისებრი ჯირკვლის ანთება, შეშუპება (ამ დროს მოსალოდნელია ჰორმონების შემცირება);

**ჰაშიმოტოს ჩიყვი** (თირეოიდიტი) - აუტოიმუნური მდგომარეობა, როდესაც იმუნური სისტემა თავს ესხმის და აზიანებს ფარისებრი ჯირკვლის უჯრედებს. უმეტესად მემკვიდრეობითია;

**მშობიარობის შემდგომი თირეოიდიტი** - ქალების 5-9%-ს უვითარდება და დროებითია;

**გრეივსის დაავადება** (დიფუზურ-ტოქსიკური ჩიყვი) - აუტოიმუნური დაავადებაა ჯირკვლის ჰიპერაქტიურობით და ჰორმონების სიჭარბით;

**იოდის სიჭარბე** - როცა ადამიანი ჭარბად იღებს იოდს (ზოგჯერ საკვების დანამატებით, მედიკამენტებით), ფარისებრი ჯირკვალი ჭარბად წარმოქმნის ჰორმონებს.

ნებისმიერი ამ მრავალფეროვანი პრობლემის სამკურნალოდ აუცილებლად უნდა მივმართოთ ენდოკრინოლოგს, თვითმკურნალობა ყოვლად დაუშვებელია!

ზოგადად, ფარსებრი ჯირკვლის დაავადებები უმეტესად მენოპაუზის შემდეგ იჩენს თავს და ქალებში 5-8-ჯერ უფრო ხშირია, ვიდრე მამაკაცებში, მაგრამ ორივე სქესის ნებისმიერი ასაკის ადამიანებთანაც აღირიცხება.

ჰიპერთირეოიდიზმისა და გრეივსის დაავადების დროს ვიზუალურად დამახასიათებელია ადამიანის თვალბუდიდან წინ წამოწეული თვალები.

ფარისებრი ჯირკვლის პრობლემების მქონეთა უმრავლესობას ჩიყვი უვითარდება. შესაძლოა, ორგანოს ფუნქცია დარღვეული იყოს, მაგრამ ზომა და სტრუქტურა ნორმას შეესაბამებოდეს. ასევე, გადიდებული ჯირკვალიც შესაძლოა, ნორმალურად ფუნქციონირებდეს. სუბკლინიკური ჰიპოთირეოზი უმეტესად უსიმპტომოდ მიმდინარეობს და პრობლემაზე მხოლოდ TSH-ის დონის მომატება მიუთითებს. ფარისებრ ჯირკვალში არსებული წარმონაქმნების (ე. წ. კვანძების) მხოლოდ 5%-ია ავთვისებიანი. უმეტესობა მათგანი კეთილთვისებიანი კვანძი ან კოლოიდური ცისტაა.

ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიის ზუსტი დიაგნოზის დასასმელად უამრავი განსხვავებული მიდგომაა საჭირო. ტარდება სისხლში TSH, FT4, FT3-ის კვლევა, აუტოიმუნური მდგომარეობის შეფასება (ანტი-TPO, ანტი-TG, ანტი-TSHR), ფარისებრი ჯირკვლის ულტრაბგერითი კვლევა, ზოგჯერ ჰეპოფიზის ფუნქციის დადგენაც, ფარისებრი ჯირკვლის კვანძებიდან ბიოფსიური მასალის კვლევა, მიკროელემენტების განსაზღვრა სისხლში და ა. შ.




მკურნალობის დაწყებისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს წამლის დოზის სწორად შერჩევას, ამიტომ მკურნალობის პროცესში ექიმის მეთვალყურეობა აუცილებელია, წამლის დოზის დარეგულირება საწყის ეტაპზე ყოველთვის ვერ ხერხდება, მაგრამ საბოლოოდ შეირჩევა ოპტიმალური დოზა. თუ მედიკამენტური თერაპია საკმარისი არ აღმოჩნდა, ტარდება ოპერაცია ან მკურნალობა რადიაქტიური იოდით.

ექიმის გარეშე დაუშვებელია იოდის დანამატების მიღება, რადგან შესაძლოა გარკვეული პათოლოგიების პროვოცირება მოახდინოს.

ჰიპოთირეოზის დროს ლევოთიროქსინის დოზის გაზრდამ შესაძლოა დააჩქაროს წონის კლება, მაგრამ გამოიწვიოს გვერდითი მოვლენებიც: უძილობა, კანკალი, მადის მომატება, პულსის გაზრდა, - განვითარდეს მედიკამენტური ჰიპერთირეოზი.

აუტოიმუნური თირეოიდიტის დროს ორგანიზმის იმუნური სისტემა უცხოდ აღიქვამს ფარსებრი ჯირკვლის უჯრედებს და მათთან ბრძოლას იწყებს. ამისათვის ის გამოიმუშავებს სპეციალურ იმუნოგლობულინებს, აუტოანტისხეულებს, რომელიც მუდამ მომატებული რჩება. ვითარდება ჯირკვლის ანთება, თუმცა ჯირკვალი ნორმალურად ფუნქციონირებს, ამიტომ ამ დროს ჰორმონალური პრეპარატების მიღება საჭირო არ არის. რაღაც დროის შემდეგ ჯირკვალი «იღლება» და ვითარდება ჰიპოთირეოზი. სწორედ ამ დროს ენდოკრინოლოგი ნიშნავს ჰორმონოთერაპიას.

ფარისებრი ჯირკვლის ამოკვეთის - თირეოდექტომიის შემდეგ პაციენტმა მთელი დარჩენილი სიცოცხლე უნდა იმკურნალოს. იგივე ითქმის ქრონიკული აუტოიმუნური თირეოიდიტის შედეგად ჩამოყალიბებულ ჰიპოთირეოზზე, აგრეთვე გრეისის დაავადებაზე რადიაქტიური იოდით მკურნალობის შემდეგ.

ნებისმიერმა ჯანმრთელმა ადამიანმა 6-12 თვეში ერთხელ უნდა შეამოწმოს სისხლში TSH-ის დონე და ჩაიტაროს ფარისებრი ჯირკვლის ულტრაბგერითი გამოკვლევა პრევენციის მიზნით.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 28/02/22, 21 25 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# წარმატება ესპანეთში – ბათუმელთა ოთხი ოქრო

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში საერთაშორისო ტურნირი კონტაქტურ კარატეში „ბარსელონის თასი“ ჩატარდა. ეს იყო წარმომადგენლობითი ტურნირი, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 370 სპორტსმენი მონაწილეობდა*

საქართველოს სახელს ოთხი სპორტსმენი იცავდა, ოთხივე აჭარიდან იყო და ოთხივემ საუკეთესო შედეგი დადო - სხვადასხვა წონით კატეგორიაში ოქროს მედლები მოიპოვეს ლაშა შანთაძემ, მინდია მგელაძემ, დათა ფუტკარაძემ, დავით მსხალაძე ტურნირის საუკეთესო ტექნიკურ მებრძოლადაც დასახელდა. ყველა სპორტსმენს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი ლევან ცინცაძე ავარჯიშებდა. ეს ის სპორტსმენებია, რომლებმაც ევროპის ჩემპიონატის ლიცენზიები მოიპოვეს.

აღსანიშნავია, რომ ოქროს მედალი კიდევ ერთმა ქართველმა - ესპანეთში მცხოვრებმა ხვიჩა ქურდობაძემაც მოიპოვა.

- საკმაოდ ძლიერი ორთაბრძოლები ჩაატარეს ბიჭებმა. ამ შეჯიბრებაზე ევროპის ჩემპიონატისთვის კარგი წინასასტარტო პერიოდი გავიარეთ. მანამდე გვქონდა შეკრება უკრაინაში და, ალბათ, ამანაც იმოქმედა ამ შედეგებზე დადებითად. ჩვენი ბიჭებისთვის წელს ეს პირველი ოფიციალური ღონისძიება იყო და ასეთი სტარტი, რა თქმა უნდა, გვახარებს. ყველა სპორტსმენი 5-5 კილოგრამით უფრო მძიმე წონაში დავაყენე, რათა მათთვის ბრძოლა ადვილი არ ყოფილიყო. ეს იმიტომ, რომ ჩემთვის პრიორიტეტი მაინც ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე კარგი გამოსვლაა. ასეთი საერთაშორისო ტურნირები აუცილებელია, რადგან მათ მეტ გამოცდილებას მატებს. ყველა სპორტსმენმა კარგი ბრძოლები ჩაატარა, მაგრამ განსაკუთრებით მაინც დავით მსხალაძე მინდა გამოვყო. ის ჯერ 18 წლისაა, მაგრამ უფროს ასაკში ოთხი საკმაოდ კარგი ბრძოლა მოიგო, ამიტომაც დაასახელეს ტურნირის საუკეთესო ტექნიკურ მებრძოლად. ამჟამად სპორტსმენები ერთთვიან შეკრებას გადიან ბათუმში. მალე ათდღიან შეკრებას გაივლიან ბაკურიანში ის ბიჭები, რომლებიც საქართველოს ნაკრებში არიან და ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან, ბოლო სამი კვირა კი ევროპის ჩემპიონატისთვის ისევ აქ მოემზადებიან, რომელსაც 1-2 აპრილს პოლონეთი უმასპინძლებს. მანამდე, შესაძლოა, კიდევ ერთ საერთაშორისო ტურნირში მივიღოთ მონაწილეობა, რომელსაც ასევე პოლონეთი მასპინძლობს. ამ საკმაოდ დიდ ტურნირში 1500-მდე მონაწილე იქნება და მასში ასპარეზობით უფრო მომზადებულები შევხვდებით ევროპის ჩემპიონატსაც, - გვითხრა ლევან ცინცაძემ.



შესაძლოა, კონტაქტური კარატე საქართველოში ისეთი პოპულარული არ არის, როგორც სხვა ქვეყნებში, მაგრამ ჩვენი კარატისტები მაინც ბრწყინვალედ გამოდიან ყველა მაღალი რანგის შეჯიბრებაზე, ამიტომ მათ უცხოეთშიც ხშირად იწვევენ შეჯიბრებაზე და არა მხოლოდ სპორტსმენებს, არამედ როგორც ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელს, ლევან ცინცაძესაც - სემინარების ჩასატარებლად, რაც ძალიან გვახარებს. ის ყველაფერს აკეთებს, რომ სპორტის ეს სახეობა ჩვენთან პოპულარული გახდეს.

# ჩემპიონატი - მკლავჭიდში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

შუახევის სასპორტო სკოლამ 18 წლამდე ასაკის ვაჟთა და გოგონათა ჩემპიონატს უმასპინძლა მკლავჭიდში. აჭარის რეგიონალური მკლავჭიდის ფედერაციის ინიციატივით შუახევში პირველად ჩატარებული ჩემპიონატის მხარდამჭერები იყვნენ აჭარის სპორტის დეპარტამენტი, შუახევის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო, შუახევის სასპორტო სკოლა.

ჩემპიონატის დაწყების წინ, 100-მდე მონაწილემ და ორგანიზატორებმა მოძმე უკრაინელ ხალხს სოლიდარობა გამოუცხადეს. ჩემპიონატის მონაწილეებს მიესალმნენ აჭარის მკლავჭიდის რეგიონალური ფედერაციის პრეზიდენტი რამინ (გოჩა) შავაძე, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი კეკელიძე, აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი ჯემალ წულუკიძე, შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის სამსახურის უფროსი ფრიდონ დავითაძე, შუახევის სასპორტო სკოლის დირექტორი რამინ ჯოიძე.

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგაზეულის მკვიდრია მკლავჭიდში 2018 წლის მსოფლიო პირველობის პრიზიორი, 2021 წლის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, 2014 წლის საქართველოს ჩემპიონი, 2018 წლის საქართველოს თასის მფლობელი გიორგი ხიმშიაშვილი. რამინ შავაძემ შუახევის სასპორტო სკოლას მისი ბანერი საჩუქრად გადასცა.

ასპარეზობაში ქობულეთის, ბათუმის, ხელვაჩაურის, ხულოს სასპორტო და საჯარო სკოლების 18 წლამდე ასაკის ვაჟები და გოგონები მონაწილეობდნენ.



საწყის ეტაპზე 55, 65, 75 და აბსოლუტურ წონით კატეგორიებში მოასპარეზე ვაჟები ერთმანეთს მარცხენა მკლავის გადაწევაში შეეჯიბრნენ. პირველები ბექა ჯაიანი (ხულო), ნიკა ხიმშიაშვილი (შუახევი), ანრი ბერიძე (ხულო) და გიორგი კაკალაძე (ბათუმი) იყვნენ.

როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა ხელით ასპარეზობაში გოგონებს შორის უძლიერესი ხულოს მუნიციპალიტეტის ბოძაურის საჯარო სკოლის მოსწავლე ანა ხოზრევანიძე იყო (გოგონები მხოლოდ ერთ წონით კატეგორიაში გამოდიოდნენ).

50-მდე ვაჟი მონაწილეობდა მარჯვენა ხელით 4 წონით კატეგორიაში. ჩემპიონები გიორგი დუმბაძე (ხულო), ნიკა ხიმშიაშვილი (შუახევი), ანრი ბერიძე (ხულო), დავით ტაკიძე (შუახევი) გახდნენ.

საპრიზო ადგილებზე გასულ მკლავჭიდელებს მედლები, თასები, სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

- ჩემპიონატმა რამდენიმე პერსპექტიული მკლავჭიდელი წარმოაჩინა. კარგი შედეგები აჩვენეს შუახევის მუნიციპალიტეტის ნიგაზეულის, ხულოს მუნიციპალიტეტის ფუშრუკაულის, ბოძაურის, ძირკვაძეების საჯარო, საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სკოლის აღსაზრდელებმა. წარმატებული სპორტსმენები საქართველოს პირველობაზე იასპარეზებენ, - გვითხრა რამინ შავაძემ.

შუახევში სპორტის ეს სახეობა პოპულარული ხდება. მას ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებიც უწყობენ ხელს. ჭალელმა ბიზნესმენმა ნუგზარ ჭაღალიძემ მშობლიური სოფლის სკოლას მკლავჭიდის მაგიდა შეუძინა.

# ოჩხამურში ჭიდაობის დარბაზი გაიხსნება

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

რუსლან შავაძე აჭარის ორგზის ფალავანია. შარშან მხოლოდ ფინალურ ორთაბრძოლაში მოეცარა ხელი. მან აქტიურ სპორტთან ერთად, მწვრთნელობაც შეითავსა, ოჩხამურელ ბიჭებს ქართული ჭიდაობის ილეთებს ასწავლის. აქ ქართული ჭიდაობის სექცია აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის ინიციატივითა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გაიხსნა.

სპორტის ამ სახეობით მეტად დაინტერესებისთვის, ოჩხამურში ნორმალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზაა საჭირო. ამაზე ისაუბრეს სამუშაო შეხვედრაზე, რომელიც ქობულეთში გაიმართა.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის ლევან ზოიძის მხარდაჭერით, ერთ დროს საზოგადოებრივი კვების ობიექტის მიტოვებული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყება, რომელიც მაისის ბოლომდე დასრულდება.

- ეს მართლაც საშვილიშვილო და საშური საქმეა, - გვითხრა აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა ჯემალ წულუკიძემ, - ახალი დარბაზი ახალ ინვენტარს საჭიროებს. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა მის შესაძენად მზაობას გამოთქვამს. წარმატებული ფალავანი კი იმედია, ღირსეულ თაობას მოამზადებს.

# „ქალთა ოთახი“ – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში

მე-7 გვერდიდან

- მოსახლეობას ვთავაზობთ კონსულტაციას მათთვის საჭირო საკითხებზე, ინფორმაციას მუნიციპალიტეტის სერვისებსა და პროგრამებზე, განათლების, ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობაზე, ასევე, თავისუფალ, ღია სივრცეს დასვენებისა და სოციალურ-ეკონომიკური აქტივობისთვის, უფასო ინტერნეტსა და კომპიუტერულ მომსახურებას, საბავშვო კუთხესა და ბიბლიოთეკას.

**- ვინ არის ამ სივრცის მომხმარებელი?**

- თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ამ სივრცით სარგებლობს ყველა - ადგილობრივი მოსახლეობა, მუნიციპალიტეტის თანამშრომლები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვები.

**- რა ღონისძიებებსა თუ პროექტებს ახორციელებთ?**

- „ქალთა ოთახი“ აქტიურადაა ჩართული ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში“, რომლის ფარგლებშიც, მოსახლეობასთან შეხვედრებისა და პრიორიტეტების განსაზღვრის დროს ქალთა ინიციატივებიცაა მხარდაჭერილი. როგორც უკვე ვთქვი, ჩვენ კონსულტაციებს ვუწევთ ყველას მათთვის საჭირო საკითხზე. ძირითადად ბიზნესპროექტების მომზადების თაობაზე მოგვმართავენ. „ქალთა ოთახი“ გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის კუთხით, ახორციელებს პროექტს, რომელიც მოიცავს ბიზნესპროექტების წერას, ასევე, საინფორმაციო შეხვედრებს, რომელზეც აქტიურად განიხილავს „ქალთა როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და პოლიტიკაში“ და „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს“.

**- ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც განახორციელეთ?**

- მოსახლეობის საჭიროებებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანია ის პროექტი, რომელიც მოიცავს ბიზნესპროექტების წერას, ფონდების მოძიებასა და მის მნიშვნელობას ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების კუთხით.

**- ძირითადად რა საკითხებზე მოგმართავენ ქალბატონები?**

- ყველაზე ხშირად ისინი დახმარებას საჭიროებენ ეკონომიკური გაძლიერების კუთხით, ეს კი მოიცავს როგორც საინფორმაციო შეხვედრებს ამ თემაზე, ასევე, დაკვალიანებას ამ მიმართულებით.

**- როგორ ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია გენდერული მიმართულება მუნიციპალიტეტებისთვის?**

- რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია და საჭიროებს უდიდეს ყურადღებას ჩვენი მხრიდან. ეს არის ის, რაც ქალებს აძლევს ძალასა და გამბედაობას, წარმართონ ცხოვრება სწორი გზით. გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია, თუმცა მაქსიმალურად ვცდილობთ ხელი შევუწყოთ ქალებს მიზნებისა და ოცნებების ასრულებასა და რეალიზაციაში.

**- გეგმებზე რას გვეტყვით?**

- „ქალთა ოთახს“ დაგეგმილი აქვს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები, ღვაწლმოსილი ქალების წარმოჩენა; ახალგაზრდა მეწარმე ქალების საქმიანობის გაცნობა, ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება-გააქტიურება... მოეწყობა სემინარი თემაზე - „დედათა და ბავშვთა უფლებები“; გარემოს დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, დასუფთავების აქციაში ჩაერთვებიან სოფლად მცხოვრები ქალები; „ფორთოხლისფერი მსოფლიო“ - ამ დევიზით გაიმართება საინფორმაციო შეხვედრა თემაზე - „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები“; მოეწყობა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ღვაწლმოსილი ქალბატონების ფოტოგამოფენა და სხვა.

